# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 ივნისი 2005 №139 (2462) ფასი 50 თეთრი




**ცაავაც ვიცეაო**

კულუარული ამბები ფედერაციიდან

3



**ნემსაძემ დალამებული დილა უნდა გაათენოს**

ჩათვალეთ: გორი უმაღლესშია

4



**ფასდაკლებული კალაძე კრესპოს დააშორეს**

5

# გერმანია 2005 გერმანია 2006-სთვის

## დიდი რეპეტიცია 2:2 დამთავრდა



AFP ნიუსფოტოდან

# მეხუთე დიდი მუზარადი ჰორიზონტზევე ჩაესვენა

## უიმბლდონის პირველი სენსაცია

უიმბლდონის ტურნირმა დაწყება ვერ მოასწრო და უკვე სენსაცია გამოცხვა — ქალთა ტურნირმა პირველივე წრეში მოისაკლისა ჟუსტინ ენენ-არდენი. არადა, ამ ბელგიელს დიდი მუზარადის ტურნირებიდან სხვა ყველა მოუგია და მხოლოდ უიმბლდონურ ტრიუმფს ვერ ღირსებია. ჟუსტინი ახლა წარმატებისთვის ბერძენ ელენი დანილიდუს ბოლომდე დიდი მონდომებით ებრძოდა, მაგრამ...



ჟუსტინ ენენ-არდენს უიმბლდონის ბალახმა არ გაუმართლა

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

# წონასწორობა ფრანკენშტადიონზე

**A ჯგუფი. III ტური**

**არგენტინა 2:2 გერმანია**

0:1 კურანი (29), 1:1 რიკელმე (33), 1:2 ასამოა (51), 2:2 კამბიასო (74)

**არგენტინა:** ლუქსი, სამუელი (სანტანა 62), სორინი, ძანეტი, კამბიასო, ჰეინცე, ტევესი (დელგადო 80), რიკელმე, კოლოჩინი, ბერნარდი (აიმარი 53), ფიგუეროა

**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი

**გერმანია:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ჰუთი, შვაინშტაიგერი (ენგელჰარდტი 70), დაისლერი, ასამოა (ჰანკე 58), ერნსტი, ჰიცსპერგერი, მერტესაკერი, შნაიდერი (ფრინგსი 46), კურანი

**მწვრთნელი:** იურგენ კლინცმანი

**გაფრთხილება:** კურანი, სამოელი, დაისლერი, ბერნარდი, შვაინშტაიგერი, ენგელჰარდტი

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

თუ გახსოვთ, არგენტინისა და გერმანიის ნაკრებთა გუშინდელი თამაშის ანონსში ვწერდით, რომ ეს გუნდები ისტორიულად თანაბარძალოვანნი არიან და ამას მათ შორის ადრე გამართული შეხვედრებითაც ვასაბუთებდით. შეგახსენებთ სტატისტიკას: წუხანდლამდე გერმანელები და არგენტინელები ერთმანეთს სულ ცხრაჯერ შეხვედრიდნენ და ამ ცხრა შეხვედრიდან ოთხჯერ არგენტინელებს მოეგოთ, სამჯერ გერმანელებს, ხოლო ორი მატჩი ფრედ დამთავრებულიყო. ახლა მატჩების საერთო რაოდენობა ათამდე გაიზარდა, ფრეებისა სამამდე, გატანილ-გაშვებულთა მაჩვენებელი კი თანაბარი, 10:10 იყო და თანაბარივე — 12:12 დარჩა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელების მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ნიურნბერგში, არგენტინასთან არ ათამაშა კაპიტანი მიხაელ ბალაკი, ხოლო კარში ტიმო ჰილდებრანდი დააყენა — მესამე შეხვედრაში მესამე გოლკიპერი. დისკვალიფიცირებული არნე ფრიდრიხის ანუ მარჯვენა მცველის ადგილი ანდრეას ჰინკელმა დაიკავა, ფაბიან ერნსტმა და ბერნდ შნაიდერმა ბალაკისა და ტორსტენ ფრინგსის ფუნქციები ანუ შუა ნახევარმცველობა იკისრეს, ლუკაშ პოდოლსკობა კი ამჯერად კევინ კურანიმ გასწია.

არგენტინელთა თავკაცმა ხოსე პეკერმანმა ხავიერ სავიოლას მაგივრად კარლოს ტევესი ათამაშა, ხოლო ესტებან კამბიასო მარიო სანტანას ტვირთს შეება.

თამაში, რომელშიც თავიანთი მთავარი ფორმა არგენტინელებს ეცვათ, გერმანელები კი წითელ მაისურებში გამოდიოდნენ, სწრაფად დაიწყო და ასევე გაგრძელდა. დასაწყისში შეტევა შეტევას ცვლიდა და თუ გერმანელებმა პირველებმა უჩხვლიტეს სტუმრებს, მათაც არ დაახანეს დიდხანს. ანგარიში კი 29-ე წუთზე კურანიმ გახსნა. გოლი იმ ჯარიმას მოჰყვა, რომლის გამოც მსაჯმა ლუბოშ მიხელმა არგენტინელთა მცველი, ვალტერ სამუელი ყვითელი ბარათით დასაჯა. გერმანელთა პირველი დარტყმული კედელს მოხვდა, ვერც მეორემ გაიკვლია გზა სამხრეთამერიკელ მცველებში, მაგრამ ბურთმა მაინც გერმანელებს უერთგულა და საბოლოოდ, გამჭოლ პასს კურანიმ მიჰკრა წარმატებით.

ოთხი წუთის შემდეგ ხავიერ ძანეტის წაქცევისთვის ჯარიმა უკვე საპირისპირო კართან დაინიშნა და ხუან რომან რიკელმემ დარტყმა საუცხოოდ შეასრულა — ძლიერად და დაბზრიალებით დარტყმული ბურთი კედელს გარედან შემოატარა და ისე შეაგდო კარში.

მეორე ტაიმი ექვსი წუთის დაწყებული იყო, როდესაც გერმანელთა შეტევა კურანის სწრაფი, ერთშეხება პასითა და ჯერალდ ასამოას გოლით დამთავრდა, მაგრამ 74-ე წუთზე „ინტერის" საყრდენმა ნახევარმცველმა, ზემოხსენებულმა კამბიასომ სანტანას, ტევესის და სორინის მონაწილეობის შემდეგ ბურთს ისე ღონივრად და ოსტატურად მისცხო, რომ ჰილდებრანდმა თავისგან მარჯვნივ, მაღლა მიმავალს ვერაფერი მოუხერხა.

საბოლოოდ, ფრემ ჯგუფში პირველ ადგილზე ერთით მეტი გატანილი გოლის გამო გერმანია დაამტკიცა და ახლა იგი ნახევარფინალის მეტოქის ვინაობას დღეს შეიტყობს. შესაძლოა, ეს მეტოქე ბრაზილია იყოს.

**პაპუნა ძიდია**



არგენტინის კარში პირველი გოლი კევინ კურანიმ გაიტანა

**ავსტრალია 0:2 ტუნისი**

0:1, 0:2 სანტოსი (26, 70)

**ავსტრალია:** პეტკოვიჩი, მური, ნეილი, ვიდმარი, სკოკო (კაილი 61), ვიდუკა (ტომპსონი 46), ჩიპერფილდი (მილიშევიჩი 38), კოლოსიმო, ალოიზი, მაკკეინი, კულინა

**მწვრთნელი:** ფრენკ ფარინა

**ტუნისი:** კასარაუი, საიდი, ტრაბელსი, ნაფტი, გვემამდია, სანტოსი (ჯაზირი 89), მნარი, ნამუში, ჩედლი (ჟომაა 55), ბენ საადა (გოდბენე 69), აიარი

**მწვრთნელი:** როჟე ლემერი

**გაფრთხილება:** მაკკეინი, ბენ საადა, კოლოსიმო, კაილი, აიარი, ნაფტი, ტომპსონი

**მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)

# საოცრება უქულოდ დამთავრდა



ორი ტურის გასრულების მერე ფიფას ოფიციალურ საიტზე გამოკითხვა მოეწყო, ხალხს ის გუნდი უნდა დაესახელებინა, რომლის თამაშმაც ყველაზე მეტად გააოცა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ათი ათასზე მეტმა ადამიანმა ინება და პირველ ადგილზე ბრაზილია გავიდა, მეორეზე კი ავსტრალია.

ბრაზილიაზე აქ არ შევჩერდებით, ავსტრალიაზე კი მოგახსენებთ: როგორც იმავე საიტზე წერია, ხალხი იმას გაუოცებია, ოზებმა გერმანიას და არგენტინას ჯამში ხუთი გოლი როგორ გაუტანესო.

კაცმა რომ თქვას, გაოცების საბაბი მართლაც არსებობს, მაგრამ ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ ავსტრალიამ ჯგუფში სამივე თამაში წააგო და ბოლო ადგილზე გავიდა.

ბოლო ტურში ავსტრალიისა და ტუნისის ნაკრებთა მატჩი არაფერს წყვეტდა — ჯგუფიდან ადრევე გასულები ერთმანეთს სხვაგან ეთამაშებოდნენ, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, ან ავსტრალიელებმა ან ტუნისელებმა უჯიგროდ ითამაშეს და თავი დაზოგესო. ხოლო ნაღდი ბრძოლის ერთ-ერთ საბუთად ექვსი ყვითელი ბარათი შეგვიძლია ვახსენოთ, ამ მატჩის არბიტრმა კარლოს ჩანდიამ რომ ააფრიალა.

ოზები ორივე გოლით ფრანსილეუდო დუშ სანტოსმა დაამწუხრა. ამ ტუნისელის ბრაზილიურ წარმომავლობაზე კი მისი გვარიც მიგვანიშნებს.

ანგარიში 26-ე წუთზე გაიხსნა. მეჰდი ნაფტიმ საჯარიმოში ჩაჰკიდა. ავსტრალიელმა მცველმა ლუკას ნეილმა ბურთი თავის მეკარე მაიკლ პეტკოვიჩისკენ გადაისროლა. მეკარემ ბურთი წინ დაიგდო და სანტოსმაც იქ მიუსწრო.

საერთოდაც, პირველი ტაიმი ტუნისელებისა იყო, ავსტრალიელები კი შესვენების მერე უფრო მოყოჩაღდნენ, როცა მარკ ვიდუკა — ვინაც კარგა ხნის უქმობის მერე პირველად ითამაშა — არჩი ტომპსონმა შეცვალა.

მაგრამ როგორც ხდება-ხოლმე, გათანაბრების მცდელობაში გართულ ავსტრალიელებს საპასუხო იერიში გამოეპარათ და სანტოსმა მეორეც შეაგდო.

**კოტე კეკელია**

**მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი**

**ჰოლანდია, 10 ივნისი – 2 ივლისი**

**მერვედფინალი**

ჩინეთი 2:3 გერმანია
აშშ 1:3 იტალია

ბრაზილია 1:0 სირია
მაროკო 1:0 იაპონია

**შვედეთი**

**ალსვენსკა. XI ტური**
სუნდსვალი 0:2 კალმარი

**სუპერეტა. XII ტური**
ატვიდაბერგი 2:2 ნორჩიოპინგი

**პოლონეთი**

**თასის ფინალი**
ზაგლიბე 1:0 ვროცლინი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ლოკომოტივს და ტორპედოს შვიდეული გამოუყვეს

## დაგვეხსენი, ბატე!

**24 ივნისს** შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბბინაში, ჩემპიონთა ლიგის გარდა უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრაც გაიმართება. ქართველთაგან რანგით მეორე ევროტურნირზე ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“ ითამაშებენ. საინტერესო კი ისაა, რომ ლიგის დარად ჩვენიანთა საუეფასთასო სავარაუდო მეტოქეებიც გაირკვნენ.

პირველ ეტაპზე ევროპის უსუსტესი ქვეყნების 50 კლუბი ითამაშებს და ისინი უეფამ რეგიონებად დაყო — ჩრდილოეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და შუა-აღმოსავლეთ ევროპელები ერთმანეთში ითამაშებენ (ალბათ, დამქანცველი მგზავრობის თავიდან აცილების მიზნით).

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივსა“ და „ტორპედოს“ ამ შვიდეულიდან შეხვდებათ მეტოქეები: „მტზ-რიპო“, „ბატე“ (ორივე ბელარუსი), „ვადუცი“ (ლიხტენშტაინი), „მიკა“, „ბანანცი“ (ორივე სომხეთი), „ბაკი“, „ხაზარი“ (ორივე აზერბაიჯანი).

აქედან ყველაზე არასასურველი გუნდი, ალბათ, ბორისოვის „ბატეა“, რომელსაც თბილისის „დინამო“ ორჯერ გადაჰყრია ევროტურნირებზე. გეხსომებათ, 2001 წელს ჩვენიანებმა შინ 2:1 მოიგეს, სტუმრად კი 0:4 განადგურდნენ. თუმც დინამოელებმა შარშან აიღეს რევანში, როცა სწორედ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე თამაშში წააქციეს „ბატე“ — 3:2, 1:0. ისე, მეორე ბელარუსული კლუბი „მტზ-რიპოც“ არაა საჩუქარი, რადგან ამ კლუბს ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვი პატრონობს.

სხვები? „ვადუცი“ ლიხტენშტაინის გუნდი კია, მაგრამ შვეიცარიის ჩემპიონატში ბურთაობს. აზერბაიჯანული კლუბები კი, იქაურ ქართველ ლეგიონერებს თუ ვერწმუნებით, ქართულებზე ძლიერები არიან — ლენქორანის „ხაზარმა“ ოდენ ოქროს მატჩში დათმო აზერბაიჯანის ჩემპიონობა, „ბაკი“ კი თასის მფლობელია და, შეხსენება არ გჭირდებათ, იქ ალეკო გოგობერიშვილი თამაშობს. გარდა ამისა, „ბაკუში“ მეკარე სოსო გრიშიკაშვილის გადასვლაც თითქმის გადაწყვეტილია. ამ ეტაპზე, მგონი, ყველაზე სასურველი მეტოქეები სომხური გუნდები იქნებიან...

აქვე საკვალიფიკაციო ეტაპების ფორმულასაც ვთქვათ: პირველ ეტაპზე 50 გუნდი ითამაშებს, 25 გამარჯვებულს მეორე ეტაპზე 37 გუნდი შეუერთდება, 31 წყვილიდან მოგებულებს მესამე ეტაპზე 49 კლუბი დაემატება. მათ შორის იქნებიან ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციოზე დამარცხებული 16 გუნდი და ინტერტოტოს თასის სამი გამარჯვებული.

ერთი სიტყვით, უეფას თასის მესამე ეტაპზე 80 წყვილი შეიქმნება და 40 საუკეთესო ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება.

დაველოდოთ 24 ივნისს...

**ილია ნანობაშვილი**

**უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპების კალენდარი**

პირველი ეტაპი:14-28 ივლისი; მეორე ეტაპი:11-25 აგვისტო; მესამე ეტაპი:15-29 სექტემბერი

**ჯგუფური ეტაპი**

პირველი ტური: 20 ოქტომბერი; მეორე ტური: 3 ნოემბერი; მესამე ტური: 24 ნოემბერი; მეოთხე ტური: 30 ნოემბერი -1 დეკემბერი; მეხუთე ტური: 15-16 დეკემბერი



# ცაავაც ვიცეაო

**ვისით** დააკომპლექტებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მისი ახალი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, მომავლის საკითხია — ეს ორგანიზაცია ახლა, ფაქტობრივად, თანამშრომლების გარეშეა დარჩენილი — ფედერაციის ყოფილ მუშაკებს ახალკაცმა განცხადების დაწერა მოსთხოვა სამსახურიდან გათავისუფლების თხოვნით და ახლა ამ განცხადებებს განიხილავს.

ადრეც გაუწყეთ, რომ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები, სავარაუდოდ, რევაზ არველაძე და გოგი ქავთარაძე იქნებიან, ახლა კი კულუარებში გვამცნობენ, ახალკაცს ოთხი ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება და არველაძე-ქავთარაძის გარდა ამ თანამდებობაზე გრიგოლ ცაავაც დაინიშნება.

უწინდელ ფედერაციაში ცაავა ფუტზალს ხელმძღვანელობდა, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიისას ახალკაცის გუნდში გახლდათ.

**ნიკა ჯორჯაძე**



რუსული „როსტოვის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე საინტერესო ცნობას წავაწყდით — მოსკოვის „ლოკომოტივი“ „როსტოვის“ მალაველ თავდამსხმელ ისო კანიენდას ყიდულობს, სანაცვლოდ კი მიხეილ აშვეთიას თმობსო. კანიენდაში შესაძლო გასაცვლელთა სიაში მაქსიმ ბუზნიკინი, ვლადიმირ მამინოვი, რუსლან პიმენოვი და უინსტონ პარკსიც იყვნენ, თუმცა როსტოველები ყველაზე მეტად სწორედ ქართველი თავდამსხმელით დაინტერესდნენ და მისი ტრანსფერის ალბათობა 80 პროცენტით შეაფასეს, რასაც აშვეთიას მცირე დახასიათება დაურთეს.

გუშინ კი მიხომ „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში ითამაშა სამარის „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ და გოლიც გაიტანა. ჩვენც მას ნამატჩევს შევეხმიანეთ...

# არავითარი როსტოვი!

— ტრავმის მერე პირველად ითამაშე და თავს როგორ გრძნობ?

— ახლა კარგად ვარ, არაფერი მაწუხებს. დღეს დუბლებში ვითამაშე და უახლოეს ტურში ალბათ ძირითად გუნდშიც გამოვჩნდები.

— **ანუ „როსტოვში“ გადასვლას არ აპირებ?**

— „როსტოვი“ რა შუაშია?

— **ამ კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, „ლოკომოტივი“ კანიენდას ნაცვლად აშვეთიას შეელევაო...**

— კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ასეთი რამ არ მოხდება!

— **მ ვარიანტის შესახებ არაფერი იცოდი?**

— არა, ჩემთან არავის ულაპარაკია, მაგრამ ამას აზრიც არ აქვს. „როსტოვში“ წამსვლელი არ ვარ.

— **ესე იგი, ეს ყველაფერი ჭორია?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი წინადადება განიხილებოდეს, მაგრამ, როგორც გითხარი, ჩემგან თანხმობას ვერ მიიღებენ.

— **„ლოკომოტივთან“ კონტრაქტი როდემდე გაქვს?**

— წელიწადნახევარი დამრჩა და სულელი უნდა ვიყო, „ლოკომოტივიდან“ „როსტოვში“ წასვლაზე დავთანხმდე.

— **კეთილი. მაგრამ გამოდის, „ლოკომოტივში“ კიდევ ერთი კონკურენტი გემატება კანიენდას სახით...**

— ჩემი ადგილისთვის ყოველთვის ვიბრძოლებ და, იმედი მაქვს, მალე ძველებურად ავთამაშდები. მინდა, კონკურენტებმა იფიქრონ ჩემზე და არა პირიქით.

**კახა შალამბერიძე**

# სპარტაკის უმაღლესლიგელობა ჯერაც საკითხავია

## დარჩა ორიდან ერთი: გურია ან სენაკური



**ნოდარ ახალკაცის** პროექტმა — უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი უნდა იყოს — ქართული კლუბები ააფორიაქა, ყველა ასე თუ ისე შემძლე კლუბი ცდილობს ზედა ეშელონში დაბინავებას. ამ შემთხვევაში თბილისის „სპარტაკსაც“ ჰქონდა შანსი, რადგან პირველ ლიგაში მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა, სპარტაკელთა აღზევებას დიდი კითხვის ნიშანი დაესვა.

გუშინ ამ კლუბის პრეზიდენტ როლანდ ჩხაიძეს შევეხმიანეთ და მანაც გვითხრა, ნოდარ ახალკაცს კი შევხვდით, მაგრამ ჯერ ვერაფერი გავარკვიეთო: „ჯერ ისიც არ ვიცი, რამდენგუნდიანი იქნება უმაღლესი ლიგა, ახალკაცთან კიდევ ვილაპარაკებთ“.

თქმა არ უნდა, „სპარტაკის“ საკითხი იმიტომ ჭიანურდება, რომ ეს კლუბი ფინანსურად გაჭირვებულია და ვინძლო, ჩემპიონატის ბოლომდე ჩამთავრების გარანტიას ვერ იძლეოდეს. თუმცა, ჩხაიძე ამბობს, ფინანსებზე ახალკაციან არ გვისაუბრიაო.

რა გამოდის? თუ „სპარტაკს“ უმაღლესის კარი ჩაუკეტეს, მაშინ ერთი ადგილი ვაკანტური რჩება. ეს ადგილი კი ვინძლო, პირველლიგელმა ლანჩხუთის „გურიამ“ ან რეგიონალლიგის დასავლეთ ზონაში გამარჯვებულმა „სენაკურმა“ დაიკავოს. გურულებისა რა გითხრათ, სენაკელებს კი ფინანსურად არ უჭირთ — კლუბის პრეზიდენტი პარლამენტარი კახა რუსიაა.

**ილია ნანობაშვილი**

# ახლის შექმნა და ძველთან განშორება

## უფულოდ ახალკაცი კი არა, ბლატერიც ვერაფერს შეცვლის

ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე სიმპათიური გუნდი — ასეთი გამოკითხვა არ ჩატარებულა, თორემ შარშანდელი ყოჩაღობით ამ ტიტულის მოპოვების საუკეთესო შანსი გიორგი დევდარიანის „თბილისს" ექნებოდა. დღესდღეობით კი 32 წლის დევდარიანი უმუშევარია და ვინძლო იძულებითი პაუზა სასიკეთოდაც წაადგეს. ამასობაში ქართულ ფეხბურთში ცვლილებებია — აგერ, მალე თექვსმეტგუნდიან უმაღლეს ლიგასაც დავუბრუნდებით და დევდარიანს სხვათა გარდა ამ თემაზეც ვესაუბრეთ. აქვე დავძენთ, რომ გუნდების რაოდენობასთან დაკავშირებით ჩვენში აქამდე არანაირი პოლემიკა არ გამართულა, გადაწყვეტილება უამისოდაც მიიღეს...



გაგი კოპალიანის ფოტო

**— რას მოუტანს თექვსმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგა ეროვნულ ჩემპიონატს?**

— ზოგადად, ცვლილებები უკეთესობისთვის ხდება და მინდა, დავიჯერო, რომ ამ შემთხვევაშიც ასე იქნება, თუმცა თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატს ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. მისაღებია თუ არა თექვსმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგა, ამაზე ბევრი არ მიფიქრია, რადგან ეს ჩემი გადასაწყვეტი არ ყოფილა. ჩემთვის, უმუშევარი მწვრთნელისთვის, ერთი შეხედვით, ეს კარგი უნდა იყოს, თუმცა ჩემ მიმართ ინტერესს ჯერ არავინ იჩენს.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა ექნება უარყოფითი თექვსმეტგუნდიან უმაღლეს ლიგას?**

— მითხარით, გვაქვს თექვსმეტი სტადიონი, ამდენივე მინდორი, ბაზა და გვყავს ამდენი გუნდისთვის სამყოფი კვალიფიციური ფეხბურთელი? როგორც კი ნიჭიერი ფეხბურთელები გამოჩნდებიან, ისინი აქედან მიდიან, ფულის გულისთვის საქართველოში ფეხბურთის თამაშს სხვაგან სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ურჩევნიათ. მოკლედ, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, თუ რის ხარჯზე მოხდება თექვსმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგის ჩამოყალიბება.

**— უმაღლეს ლიგას ნაკლი ალბათ გუნდების ნებისმიერი რაოდენობისას ექნება...**

— როცა თორმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგა გვქონდა და ჩემპიონატი ექვსეულებად იყოფოდა, ცუდი ის იყო, რომ ბევრი გუნდი უმოტივაციოდ რჩებოდა, მაგრამ თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში კორუფციის რისკი უფრო გაიზრდება.

**— ამ ცოტა ხნის წინ მოსკოვის „ლოკომოტივში" იყავით სტაჟირებაზე — რა შთაბეჭდილებით დაბრუნდით?**

— „ლოკომოტივში" ორი თვე ვიყავი. იქ ხდება ის, რაც აქ არ ხდება დაწყებული ორგანიზაციული დონით, დამთავრებული პროფესიონალიზმით. თუ საქართველოში ფეხბურთის განვითარება გვინდა, თუ რა როგორ უნდა გავაკეთოთ, ჩვენ თვითონ უნდა გავთვალოთ, განვითარების ინტენსიური გზით უნდა ვიაროთ და არა ფორსირებულით.

**— თვალსაწიერს ალბათ სტაჟირებაც აფართოებს და როგორ ფიქრობთ, საითკენ ვითარდება ფეხბურთი?**

— ფეხბურთში რევოლუციური ძვრები აღარ იქნება, ტოტალურობის შემდეგ ფეხბურთი ევოლუციურად ვითარდება, ტოტალურ ფეხბურთში კიდევ მოიძებნებოდა სივრცე განვითარებისთვის. ახლა ფეხბურთი უნივერსალიზმისკენ მიდის. მწვრთნელი სტრატეგიას ვერ შეცვლის, თუ რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი არ აქვს დამუშავებული, ტაქტიკის რეალიზაციისთვის კი უნივერსალურად ჩამოყალიბებული ფეხბურთელია საჭირო. ყველაფერ ამაზე ერთმა კაცმა არ უნდა იფიქროს, ამას ათი-ოცი ტვინი სჭირდება — უნდა ჩამოვაყალიბოთ, თუ როგორ განვავითაროთ ფეხბურთი საქართველოში.

**— საქართველოში არის რამდენიმე კლუბი, სადაც ნორმალური პირობებია მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის — ასეთი რესურსით განვითარების შანსი არ გვაქვს?**

— ამ რესურსით გაგრძელდება ის, რაც აქამდე იყო — უკუსვლა. ვინც უნდა იყოს, ფედერაციაში მოსული ერთი კაცი თავისი გუნდით ვერაფერს გააკეთებს, თუ სახელმწიფო არ დაინტერესდა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებით, თუ ინვესტიციები არ გამოჩნდება. ერთი სიტყვით, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს — მთავარია, ფული და გამართული ინფრასტრუქტურა, თორემ სხვანაირად სიტუაციას ვერც ნოდარ ახალკაცი შეცვლის და ვერც ზეპ ბლატერი.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის გეიმედებათ?**

— ნოდარ ახალკაცის იმედი მაქვს, რადგან ის ახალგაზრდა, ამბიციური კაცია და მამამისის გვარსახელი ბევრს ავალდებულებს. ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთს რაღაც უკეთესობა უნდა დაეტყოს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს შევხვდი და მითხრა, სამუშაოდ ახლა ყველა პირობა მაქვს შექმნილიო.

**— ადამიანური რესურსის თემას მივყვეთ — როცა „თბილისს" წვრთნიდით, თქვენს ხელში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა, თუმც ბოლო დროს მათი წინსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა...**

— მიმაჩნია, რომ რევაზ გეწაძეს შეუძლია მაღალ დონეზე თამაში, მაგრამ საქართველოში ეს ფეხბურთელი ვერ განვითარდება. მეიმედება მოსკოვის „ლოკომოტივში" წასული გიორგი ნოდარის ძე ჭელიძისაც, ხოლო „თბილისიდან" „დინამოში" გადასულ გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს დღესაც ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ვთვლი. ძალიან მაღლა ვხედავ გოჩა ხოჯავას ბედიც. როცა მისი მწვრთნელი ვიყავი, მკაცრი დამოკიდებულება მქონდა, რადგან ის თავისი შესაძლებლობების ოც პროცენტს თუ ავლენდა, მე კი მეტს ვთხოვდი. ხოჯავას კვიპროსში სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, მას მერე კი თვეზე მეტია, სერიოზულად არ უვარჯიშია და როგორც ვიცი, ახლაც უგუნდოდაა. ბევრის მიღწევა შეუძლიათ გოგა ფიფიას და ბესიკ მიქიაშვილსაც. რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „თბილისიდან" არ გაუცვნია ქართულ საფეხბურთო სამყაროს, ძალიან მომწონს გიორგი განუგრავა. თანამედროვე ფორვარდის თვისებები აქვს სანდრო იაშვილს, მაგრამ მასაც და სხვებსაც განვითარება და გონებაში გარდატეხის შეტანა სჭირდებათ, ანუ ახლის შექმნა და ძველთან განშორება — ამის გარეშე წინსვლა არ იქნება.

**დავით თავართქილაძე**

# ნემსაძემ დაღამებული დილა უნდა გაათენოს

## ჩათვალეთ: გორი უმაღლესშია



გაგი კოპალიანის ფოტო

**წინა** ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასული გორის „დილა" უმაღლეს ლიგაში მაინც ითამაშებს — ეს საკითხი გადაწყვეტილია. შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს შეხვდა და ყველაფერი გორელთა სასიკეთოდ მოგვარდა.

და მთავარიც: ვინ უპატრონებს გასულ სეზონში უპატრონოდ მიგდებულ „დილას"?

ადრეც იყო ლაპარაკი და, ფაქტობრივად, გადაწყდა, რომ კლუბის სათავეში გიორგი ნემსაძე მივა. გიორგი დღეს ჩავა გორში და დღესვე „იბერკომპანი" და „აი პი ჯი ჯგუფი" „დილას" მფარველები გახდებიან.

„წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ჩვენ მიხეილ ქარელს და რაიონის სხვა ხელმძღვანელებს უნდა შევხვდეთ და პირობებზე მოვილაპარაკოთ. ძალიან მოწადინებულები ვართ, რათა „დილა" დავაფინანსოთ და, ალბათ, არავითარი დაბრკოლება არ იქნება. როგორც ვიცი, კლუბის უმაღლეს ლიგაში დარჩენა გადაწყვეტილია" — გვითხრა გუშინ ნემსაძემ.

შეგახსენებთ, ორიოდ თვის წინ ამ კლუბის სათავეში გოჩა ძასოხოვის მისვლასაც ელოდნენ, თუმცა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან პირობებზე ვერ შეთანხმდა.

გიორგი ნემსაძეს „იბერკომპანის" მიერ „რუსთავის" დაფინანსებაზეც ვკითხეთ და ასეთი პასუხი მივიღეთ — თუ „დილაში" მივალთ, რუსთაველთა პატრონობაზე, მგონი, უარს ვიტყვითო.

**ილია ნანობაშვილი**



# ფასდაკლებული კალაძე კრესპოს დააშორეს

„მილანის“ და „ჩელსის“ მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში შედის. მთავარი სიახლე ისაა, რომ იტალიელებმა ქართველ მცველს ფასი დაუწიეს. — ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ ინგლისურმა სააგენტოებმა.

შეგახსენებთ, რომ „მილანი“ კალაძეში თავიდან 15 მილიონ ევროს ითხოვდა, მერე ეს თანხა 8 მილიონ გირვანქამდე შეამცირა, ახლა კი ამბობენ, მილანელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი თანახმაა, ჩვენიანს 6 მილიონ გირვანქად შეელიოსო.

ინგლისელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ გალიანის ამ ნაბიჯს შეუძლია, ჩიხში შესული მოლაპარაკება შეთანხმებისკენ მოაბრუნოს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებს „ჩელსი“ — კერძოდ, თანახმაა თუ არა 6 მილიონ გირვანქად შეიძინოს კალაძე.

და ერთიც: „მილანი“ ახალ წინადადებას სთავაზობს ლონდონელებს — მოლაპარაკებები გაგრძელდება იმ შემთხვევაში, თუ არგენტინელი ერნან კრესპოსა და კახა კალაძის ტრანსფერები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილება.

გეხსომებათ, რომ აქამდე „მილანი“ და „ჩელსი“ ამ ორი ფეხბურთელის გაცვლას აპირებდნენ...

**კახა შალამბერიძე**

# ასათიანი რუსულ სიებში ძალიან მაღლა ზის




**საუკეთესო ლოკომოტიველები: მეკარე სერგეი ოვჩინიკოვი, თავდამსხმელი დმიტრი სიჩოვი და მცველი მალხაზ ასათიანი**

**რუსულ** პრემიერლიგაში თორმეტი ტური მიილია და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი უკვე ორ ნომინაციაში ლიდერობს. ყველაზე პოპულარული რუსული გამოცემის, „სპორტ-ექსპრესის“ შეფასებით, ასათიანი თანაგუნდელ სერგეი ოვჩინიკოვთან ერთად პრემიერლიგის ყველაზე სასარგებლო მოთამაშეა, ხოლო საუკეთესო ცენტრალური მცველების ხუთეულში მალხაზი ერთპიროვნულად ლიდერობს საშუალო 6,21 ქულით. მეორე საფეხურზეა ზენიტელი ივიცა კრიჟანაცი (6,10 ქულა), ხოლო მესამეზე მოსკველი მარიუშ იოპი (6,06 ქულა).

კიდევ ერთ ნომინაციაში კი ასათიანი მეორეზე ადგილზეა — პრემიერლიგაში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა სიას ცსკა-ს ბრაზილიელი დანიელ კარვალიუ ლიდერობს (6,28 ქულა), რომელსაც ასათიანი 0,07 ქულიოლა ჩამორჩება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი შარშან პრემიერლიგის საუკეთესო მცველად დაასახელეს.

**კახა შალამბერიძე**

# ალანია: პრობლემები ჰაერში და მიწაზე

## ჩვენებმა ბევრი ინერვიულეს

მოსკოვის „ვნუკოვოს“ აეროპორტიდან აფრენილ ვლადიკავკაზის „ალანიას“ თვითმფრინავს ჰაერში პრობლემები შეექმნა და ექვსი ქართველი ფეხბურთელის გუნდმაც გვარიანი შიში ჭამა. თვითმფრინავმა ორი საათი მოსკოვის თავზე იფრინა და დაშვება მერეღა შეძლო... მოსკოვში კი „ალანია“ ჩემპიონ „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ იყო ჩასული, სტუმრებმა 0:3 წააგეს. ჩვენიანთაგან ჯაბა კანკავამ, ვიტალი დარასელიამ, გიორგი შაშიაშვილმა და ლევან გვაზავამ ითამაშეს, ლადო ბურდული სათადარიგო იყო, დავით კვირკველია კი, ვინც გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, ტრავმის გამო ისვენებდა. ჩვენ გუშინ სწორედ კვირკველიას დავუკავშირდით და მოსკოვურ ამბებზე ვკითხეთ, მით უმეტეს, ის მოსკოვშივე დაშავებულა...



— მატჩისწინა ვარჯიშზე კუნთი ამტკივდა და „ლოკომოტივთან“ ამიტომაც ვერ ვითამაშე. თავიდან მეგონა, კუნთი გაწყვეტილი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, გადავრჩი. კუნთი გამიცივდა და ახლა ერთკვირიანი მკურნალობა მჭირდება. ალბათ, მომავალი ტურის შეხვედრასაც გამოვტოვებ.

**— ვლადიკავკაზიდან ბოლო დროს ისმის, „ალანიაში“ ფინანსური კრიზისია და შესაძლოა გუნდი დაიშალოსო. შენ თუ გვეტყვი, რა ხდება?**

— თავადაც არ ვიცი, რა ხდება. კლუბის ხელმძღვანელობა შეიცვალა, ფული არ არის, ვერ გაგვირკვევია, „ალანიას“ პატრონი ვინ არის.

**— ხელფასები იგვიანებსო...**

— ხელფასებიც იგვიანებს და საერთოდ, დიდი არეულობაა. ხვალ რა იქნება, ვერ გეტყვით, არ ვიცით...

**— ითქვა, შესაძლოა „ალანიაში“ წლეულს გადასული ქართველები უკანვე, „დინამოში“ დაბრუნდნენო...**

— ბიჭები რას აპირებენ, არ ვიცი, თავად კი „ალანიადან“ თუ წავედი, ალბათ მოსკოვის ერთ-ერთ გუნდში გადავალ. ისე, ქართველებს „ალანიასთან“ კონტრაქტები გვაკავშირებს.

**— კი მაგრამ, ხელფასს თუ ვერ გიხდიან?**

— საქმეც ეგაა, პირობების შეუსრულებლობისთვის შესაძლოა კონტრაქტი გავწყვიტოთ და ვერავინ შემოგვედავება.

**— იმ მოსკოვური გუნდიდან რეალური წინადადება გაქვს?**

— დიახ, ამ გუნდს უკვე კარგა ხანია, ჩემი გადაბირება სურს.

**— ისე, „ალანია“ შენი პირველი უცხოური გუნდია. რუსულ ფეხბურთთან შეგუება არ გაგჭირვებია?**

— არც ისე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ალანიასთან“ ერთად მოსამზადებელი პერიოდი სანახევროდ გავიარე. რუსეთის ჩემპიონატში თამაშის პრობლემა დღემდე არ მქონია და მომავალში რატომ უნდა გამიჩნდეს?

**— „ალანიაშიც“ მარცხენა ნახევარმცველად თამაშობ?**

— ორჯერ შუაში მათამაშეს, ამდენჯერვე მარცხენა ნახევარმცველად, დანარჩენ მატჩებში კი მცველი ვიყავი.

**— „ლოკომოტივთან“ მატჩის შემდეგ ვლადიკავკაზში დაბრუნებისას თვითმფრინავში რა მოხდა?**

— ნუ გამახსენებ, ძალიან შევშინდით. როცა თვითმფრინავი აფრინდა, წინა შასი არ შეიკეცა, თანაც დიდი ალიაქოთი და შიშიანობა გამოიწვია. საწვავით სავსე აეროპორტში დაშვება არ შეიძლებოდა და ორი საათი მოსკოვის ირგვლივ დავფრინავდით, ვიდრე ბენზინი არ დაიწვებოდა. როგორც იქნა, მშვიდობით ისევ აეროპორტში დავეშვით, მაგრამ ჩვენ ბევრი კი გვანერვიულეს. ვლადიკავკაზში რამდენიმე საათში, სხვა თვითმფრინავით გამოვფრინდით.

**ქობა ინასარიძე**

## ს.კ. „დინამო თბილისი“-ს საფეხბურთო აკადემიის განცხადება

ს.კ. „დინამო თბილისი“ აწყობს 1987-1991 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა შერჩევას 25 ივნისიდან 30 ივნისამდე.

ყოველ დღე ჩატარდება საცდელი მატჩები, რომლებსაც დააკვირდებიან „დინამოს“ მწვრთნელები და სელექციონერები. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი მიწვეულ იქნებიან კლუბის ახალგაზრდულ გუნდებში.

1987-88-89 წ.წ. დაბადებულნი უნდა გამოცხადდნენ 09.30 სთ-ზე.

1990-91 წ.წ. დაბადებულები უნდა გამოცხადდნენ 17.00 სთ-ზე.

სინჯებში მონაწილეობა უფასოა.

მისამართი: „სინათლის“ სტადიონი (კონიაკის დასახლება, ავჭალა).

საკონტაქტო ტელეფონები: 53-20-76, 53-20-68, 52-34-59.

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

### B ჯგუფი. III ტური

# პერნამბუკანოს ბრაზილია და კარის წინ დაბნეული იაპონელები



ზიკო იაპონელებს თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ განაწყობს



ჟუნინიო პერნამბუკანო

## იაპონია — ბრაზილია

**დღეს**, იაპონიის ნაკრებთან შეხვედრის წინ ბრაზილიელთა მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებას გეგმავს. შეგახსენებთ, მექსიკასთან 0:1 დამარცხების შემდეგ ბრაზილიამ სატურნირო საქმე გაირთულა, კერძოდ თუ ამომავალი მზის ქვეყნელებთან ვერ გაიმარჯვებს, თავისი ქვეყნის გზას გაუდგება.

და კიდევ, ძალიან საინტერესო ამბავია, რომ იაპონიას ბრაზილიელი ფეხბურთის ერთ-ერთი მეგავარსკვლავი ზიკო წვრთნის.

პარეირას ცვლილებაში კი კვლავ პირველ ნომრებად მიჩნეული ფეხბურთელების სათადარიგოთა სკამზე ლოდინს გულისხმობს. მაგალითად შთამბეჭდავია — რონალდინიო და კაკა, პენტაკამპეონთა შორის შემოქმედებითი ნიჭით ორი ყველაზე მეტად დაჯილდოვებული ვარსკვლავი იაპონელებთან თამაშს სკამიდან ნახავს.

„კონფედერაციათა თასის ნაცვლად მსოფლიოს ჩემპიონატი რომ იყოს და ისევე, როგორც დღევანდელ შეხვედრაში, გამარჯვების აუცილებლობა იდგეს, მაშინ სხვა იქნებოდა, მაგრამ ამ შეჯიბრებაში, მესამე თამაშში შემადგენლობის გადახალისება იმთავითვე გვქონდა ჩაფიქრებული და ახლა გეგმას მივსდევთ, — განაცხადა პარეირამ, — პასუხისმგებლობას თავზე ვიღებ და სამ ან ოთხ ახალ მოთამაშეს ვუშვებ მოედანზე. ვაღასტურებ, მოგება და შემდეგ ეტაპზე გასვლა გვინდა, კონფედერაციათა თასს მნიშვნელოვან შეჯიბრებადაც მივიჩნევ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მისი მნიშვნელობა მაინც ის გახლავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის რეპეტიციაა."

შემდეგ ჟურნალისტებმა რონალდინიოს და კაკას ამბავი დააზუსტეს, რაზეც პარეირამ განაცხადა, რომ დიახაც, იგი ორივე ვარსკვლავს დაასვენებს, მითუფრო, რომ წინ სავარაუდო ნახევარფინალია.

„ევროპაში ორივეს ძალიან დამღლელი სეზონი ჰქონდა და ამიტომაც გვინდა შემდეგი თამაშისთვის მათ ამოსუნთქვის საშუალება მივცეთ." — განაცხადა მწვრთნელმა.

კეთილი და პატიოსანი, ჩვენ ნაწილობრივ მაინც შევიტყვეთ, ვინ არ იქნება ამ საღამოს კიოლნის სტადიონზე ბრაზილიელთაგან, მაგრამ ამ ხალხს შემცვლელიც ხომ სჭირდება?

როგორ არა, სჭირდება და ეყოლება კიდეც, მაგრამ დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია რომ დღევანდელ ძირითადში მოსახვედრთა სიას ჟუნინიო პერნამბუკანო უდგას სათავეში, ხოლო ჟუნინიო პერნამბუკანო ის კაცია, რომელმაც საბერძნეთთან შეხვედრაში მოედანზე ახალშესულმა ბრწყინვალე ჯარიმა გაუტანა ევროპის ჩემპიონებს.

და იაპონია? მან ხომ იმავე ბერძნების დამარცხებით დაამტკიცა, რომ მზადაა ნებისმიერ მეტოქეს შეუქმნას პრობლემები?

ცხადია ასეა და ამის თვალნათელი მაგალითი ჰიდეტოში ნაკატასა და შუნსუკე ნაკამურას კარგი ფორმაა. უპირველეს ყოვლისა სწორედ მათმა კარგმა თამაშმა დაამარცხა ევროპის ჩემპიონები.

ნაკატა ამბობს: „ჩვენი უმთავრესი ნაკლი შესაძლებლობების გამოყენებაა და ამ მიმართულებით აშკარად გასაუმჯობესებელია მუშაობა."

თავის ვარსკვლავს ზიკოც ეთანხმება და ამბობს, რომ იაპონელ ფორვარდებს მეტოქის კარის წინ მენტალური პრობლემები უჩნდებათ, მაგრამ მაინც მშვიდად არის და მომავალს იმედით უყურებს.

„ყველაფერზე მთავარია არ დავკარგოთ იმის რწმენა, რომ ჩვენ მოგება შეგვიძლია, — ბრძანა მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა უდიდესმა სახელმა, — რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ბრაზილია ბრაზილიაა და ყოველთვის ბრაზილია იქნება, მაგრამ დღეს მე იაპონიის მწვრთნელი გახლავართ და ჩემი ამოცანა იაპონიის მოგებაა."

**პაპუნა კედია**

# მექსიკის ისტორიული შანსი



ოტო რეჰაგელი



რიკარდო ლავოლპე

## საბერძნეთი — მექსიკა

**მას მერე**, რაც მექსიკამ ბრაზილია დაამარცხა, რა გასაკვირია, რომ მთელი მსოფლიოს გაზეთებმა მექსიკელებზე საქებარი სტატიების დაწერა სავალდებულოდ მიიჩნიეს და ყველა იმის მოლოდინშია, რომ ბრაზილიის დამჯაბვნელი ევროპის უსახურად მოთამაშე ჩემპიონს უფრო იოლად გაუსწორდება.

ისიც არ დავივიწყოთ, რომ მექსიკის ნაკრების 19-მატჩიანი წაუგებელი სერიაც დაუგროვდა. გუნდის წარმატებულ სვლას კი მისი მწვრთნელი რიკარდო ლავოლპე ამგვარად ხსნის: „ჩვენ დიდი დრო გვქონდა შესათამაშებლად და საკუთარი თამაშის ასაწყობად. განწყობაც იმგვარი გვაქვს, რომ არავისი გვეშინია და გვწამს, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. იმის მიუხედავად, დომენიკის რესპუბლიკას ვეთამაშებით თუ ბრაზილიას, ჩვენს ფეხბურთს ვთამაშობთ და ტაქტიკას მეტოქის სიძლიერის მიხედვით არ ვარჩევთ. როცა სათამაშოდ ამგვარი განწყობით გადიხარ, უკვე ბევრს ნიშნავს.

მექსიკა არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ახლაა. სანამ გუნდს ლავოლპე ჩაიბარებდა, ნაკრების საუკეთესო მიღწევა მიჯრით 11 წაუგებელი თამაში იყო 1993 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. მაშინ ნაკრების მწვრთნელი მიგელ მეხია ბარონი იყო.

საბერძნეთთან დღევანდელი მატჩი — თუ მოიგო — მექსიკელთათვის საიუბილეო მეოცე წაუგებელი ხომ იქნება და ამასთანავე პირველად მოხდება, რომ ნებისმიერ ფიფას ეგიდით ჩატარებული შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპს გუნდი ქულათა მაქსიმუმით დაასრულებს.

აქამდე მექსიკის ნაკრებმა ოთხი ჯგუფური ეტაპი დაასრულა ორი მოგებით და ერთი ფრით მსოფლიოს ჩემპიონატებზე და კონფედერაციათა თასზე.

მოკლედ, დღეს მექსიკას ისტორიული შანსი აქვს.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მექსიკა** | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| **ბრაზილია** | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| **იაპონია** | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| **საბერძნეთი** | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# რეალი ითხოვს




სტივენ ჯერარდი

**მადრიდის** „რეალი" მზადაა 30 მილიონი გირვანქა გადაიხადოს სტივენ ჯერარდში. „ლივერპულის" კაპიტანი ადასტურებს, რომ მას სურს, რაც შეიძლება ჩქარა დაიწყოს მოლაპარაკება თავის ამჟამინდელ ბოსებთან, ოღონდ „ენფილდზე" ჯერჯერობით დუმან, თუმც, წინა კვირაში ადასტურებდნენ, რომ აუცილებლად დაიწყებენ მოლაპარაკებას. ამან დაქოქა „რეალი", რომელმაც დაატყო რომ ლივერპულში არ ჩქარობენ. აქამდე აგენტიც აქაა, ლივერპულის თავმჯდომარე რიკ პერიც, რაფა ბენიტესიც და თვით სტივიც. ამჟამინდელი კონტრაქტით, ჯერარდს კვირაში 60 ათასი გირვანქა აქვს და კიდევ ორი წელი რჩება. რაფა ამბობს, რომ ჯერარდი სჭირდება, ოღონდაც, ისიც ცხადია, რომ მისთვის ახალი ფეხბურთელების საყიდლად ფულია საჭირო. ამ ფულის მოტანა კი კაპიტნის გაყიდვას შეუძლია.

**ირაკლი გამყრელიძე**




მიშელ ესიენი

# ძირს ოცდახუთი მილიონი!

**საფრანგეთის** ჩემპიონმა, „ლიონმა" უარი განაცხადა „ჩელსისგან" მიღებულ წინადადებაზე, რომელიც 25 მილიონ ევროში განელი ნახევარმცველის, მიშელ ესიენის გაცვლას გულისხმობდა.

„ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ულამ განაცხადა: „ლონდონელები ძალიან მოწადინებულნი არიან. იმავდროულად, „ჩელსი" გახლავთ ერთადერთი კლუბი, რომელმაც ოფიციალურად მოგვმართა და გამოთქვა ჩვენი ფეხბურთელის შეძენის სურვილი, მაგრამ ჩვენ ჩვენი მხრივ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მიშელ ესიენი „ლიონის" ფეხბურთელად დავტოვოთ. ანგარიშგასაწევია, რომ მას თავადაც დარჩენა სურს და მწვრთნელსაც სამომავლო გეგმაში მისთვის სერიოზული ფუნქცია აქვს დაკისრებული. ჩვენ ესიენის შენარჩუნების გამო უკვე 25 მილიონ ევროზე ვთქვით უარი."

ლიონელთა ამბებიდან კიდევ ის არის აღსანიშნავი, რომ ამ ფრანგულ კლუბს „ლივერპულისგან" ჩეხი ფორვარდის, მილან ბაროშის ყიდვა აქვს გულში ამოჭრილი, მაგრამ პრეზიდენტის თქმით, ჩვენს მერსისაიდელთა [illegible] მება. სხვა საქმეა, რომ შესაძლებელია თავად „ლივერპულმა" მაინც [illegible] ბაროში. ერთი სიტყვით, „ლიონი" იმედს არ კარგავს

ასე და ამგვარად, საფრანგეთის ჩემპიონს ჯერჯერობით ორი შენაძენი ჰყავს: ნახევარმცველი ბენუა პედრეტი, რომელიც ახალ [illegible] „მარსელიდან" [illegible] გადავიდა და [illegible] სილვან მონსორო „სოშოდან"

**პაპუნა ქედია**

# სამუელ ეტოო: ფულს ბედნიერება არ მოაქვს

*სამუელ ეტოომ გასულ სეზონში მთელი ევროპა აალაპარაკა, ისედაც მოწონებული თავი ერთიორად მოაწონა საფეხბურთო საზოგადოებას და „ჩელსის" ინტერესმაც ცხადია არ დააყოვნა, ოღონდ ლონდონელ მდიდრებს კამერუნელისგან უარის მოსმენა მოუხდათ*



„ლონდონიდან საოცარი წინადადება მივიღე, — ვერ დამალა ემოცია თავდამსხმელმა, — მაგრამ ფულს ბედნიერება არ მოაქვს. მე „ბარსელონაში" დარჩენა მსურს და კლუბის პრეზიდენტმა ეს ძალიან კარგად იცის."

ეს სიტყვები ეტოომ გაზეთ „მარკას" განუცხადა და დასძინა: „ცოლმა გამაფრთხილა, იცოდე ლონდონში ამინდი მაინცა და მაინც კარგი არ არისო, მე კი დავამშვიდე, ვუთხარი, რომ ბარსელონიდან არსად არ ვაპირებ წასვლას. მოკლედ, ყველაფერი მოგვარებულია და ახლა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვიწყებ ფიქრს."

24 წლის ეტოო, რომელმაც გასულ სეზონში 24 გოლი გაიტანა, სავარაუდოდ 2010 წლამდე აპირებს „ბარსელონასთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას. ასე და ამგვარად, კამერუნელი გახდება მეოთხე ფეხბურთელი, რომელიც კატალონიელებს ერთგულებას კონტრაქტზე ხელმოწერით დაუმტკიცებს. მანამდე იგივე გააკეთეს პორტუგალიელმა ნახევარმცველმა დეკომ, ესპანელმა ნახევარმცველმა ხავიმ და ახალგაზრდა მარჯვენა მცველმა დამია აბელამ.

**პაპუნა ქედია**

# მოსკოვიდან ბარსელონისკენ მიიწევს ტანკი



ფერნანდო კავენაგი

**მოსკოვის** „სპარტაკის" ცენტრალური თავდამსხმელი, არგენტინელი ფერნანდო კავენაგი მომავალ სეზონში სავარაუდოდ ბარსელონის „ესპანიოლში" იჯარით ითამაშებს. კატალონიური „სპორტის" ცნობით, გუშინ „ესპანიოლის" თავკაცებსა და კავენაგის აგენტებს მავან სივორისა და პარიზის მოლაპარაკება გაუმართავთ, რის შედეგადაც ფეხბურთელის „მონჟუიკზე" ჩასვლა დააჩქარდება.

„ესპანიოლში ახლა სწორედ კავენაგისნაირი მძლავრი მოიერიშე სჭირდებათ. თუ „სპარტაკთან" გარიგება შედგება, პრიმერა დივიზიონის გუნდი ნიჭიერი თავდამსხმელის შეძენით ბევრს მოიგებს" — ვკითხულობთ გაზეთში.

ფერნანდო კავენაგი 22 წლისაა, 181 სანტიმეტრი სიმაღლის და 82 კილოგრამს იწონის. ასეთი ალნაგი ფორვარდის წინააღმდეგ მოწინააღმდეგე გუნდების მცველები ხშირად უწმეონი არიან.

ტანკად წოდებული თავდამსხმელი „რივერ პლეიტში" გაიზარდა, შემდეგ მისი შეძენა „იუვენტუსსა" და „ბარსელონას" უნდოდათ, მაგრამ გასული წლის ივლისში იგი 10 მილიონ ევროდ მოსკოვის „სპარტაკს" ჩაუვარდა ხელში. ეტყობა, სამხრეთის მზეს შეჩვეულ ტანკს რუსეთის ქარ-ყინვები გულს არ მოეფონა და გადაწყვიტა, „ესპანიოლში" ითამაშოს. და მაინც... „სივორისა და პარიზის თქმით, რუსულ-ესპანურ-არგენტინულ გარიგებას უახლოეს ხანში ნაკლებად უნდა ველოდოთ. ისე კი შანსი დიდია, რომ კავენაგის „ესპანიოლის" თეთრ-ცისფერ მაისურაში გამოწყობილს ვნახავთ, საკმაოდ დიდია" — აღნიშნავს „სპორტი".

**ლადო ხომერიკი**

# პასუხს დეკემბერი იტყვის

**მომავალ სეზონში** ჩემპიონთა ლიგის მეტოქეებს ფრანგული „ლილი" პარიზში ან ლანსში უმასპინძლებს. მიზეზი: საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე გუნდს უეფამ განუცხადა, რომ მისი სტადიონი ევროპის უდიდესი საკლუბო შეჯიბრებისთვის არ ვარგა. „ლილის" ოფისიდან გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ პარიზსა და ლანსს შორის უპირატესი სარბიელი უეფას შტაბ-ბინაში ჩასატარებელი კენჭისყრის შემდეგ გაირკვევა.

პრობლემა ასეთია: საკუთრივ „ლილს" პარიზის „პარკ დე პრენსზე" ურჩევნია თამაში, მაგრამ თუ კენჭისყრა 6-7 დეკემბრის ტურში მასპინძლობას დააკისრებს, მაშინ ის იძულებული იქნება ამთავითვე ლანსის „ბოლაერი" ირჩიოს. 6-7 დეკემბერს „სტად დე ფრანსი" დაკავებულია.

გეოგრაფიულად კი საქმე ასე გახლავთ — ლილიდან ლანსი ყურის ძირშია, ხოლო პარიზამდე სწრაფ მატარებელს ერთი საათი სჭირდება. რაც შეეხება თავად ლილის სტადიონს, მას არემონტებენ და ამის გამო გასული სეზონიც კი კლუბმა სხვაგან, ვილენევ დასკთან ჩაატარა, სადაც ჩემპიონთა ლიგის თამაშების მასპინძლობაც უნდოდა, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უეფამ ნება არ დართო — არც ტევადობა, 18 ათასი ყოფილა საკმარისი და მეტისმეტი შინაურულობის გამოც უსაფრთხოების ნორმებიც თურმე დიდი კითხვისნიშნის ქვეშ დგას.

**პაპუნა ქედია**

# გაისამდე ბერნდი

## შუსტერი არგენტინაში აღარ მიდის, ესპანეთში დარჩა



ბერნდ შუსტერი

**ესპანურ** ფეხბურთში გამინაურებული გერმანელი ბერნდ შუსტერი მომავალ სეზონშიც პირინეებზე დარჩება. გუშინ „ლევანტეს“ ყოფილმა დამრიგებელმა „ხეტაფესთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამ კონტრაქტის მიხედვით ელ რუბიო ანუ ქერა მადრიდულ კლუბს 2005-06-ის ჩემპიონატის განმავლობაში გაწვრთნის.

„შუსტერი შესანიშნავი სპეციალისტია. ჩვენ მისი მოყვანა შარშანაც ვცადეთ, თუმცა მაშინ „ლევანტემ“ უფრო ხელსაყრელი პირობები შესთავაზა და მანაც ვალენსიელებთან ამჯობინა დარჩენა. მართალია, შუსტერი „ხეტაფესთან“ მხოლოდ ერთი სეზონით ითანამშრომლებს, მაგრამ თუ მომავალ სეზონში გუნდს ადგილი პრიმერადივიზიონში შეუნარჩუნა, ხელშეკრულებას აუცილებლად გავუხანგრძლივებთ“ — აღნიშნა „ხეტაფეს“ პრეზიდენტმა ანხელ ტორესმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ბერნდ შუსტერი შარშანდელ სეზონში „ლევანტეს“ ხელმძღვანელობდა, მაგრამ პოსტი ვალენსიური გუნდის სეგუნდადივიზიონში გავარდნამდე ცოტა ხნით ადრე დაატოვებინეს. „ელ რუბიო“, როგორც მოგახსენეთ, ესპანურ ფეხბურთს ხუთი თითივით იცნობს. იგი „ბარსელონაში“, „რეალსა“ და „ატლეტიკოში“ თამაშობდა, მერე კი „ხერესსა“ და „ლევანტეს“ უთავკაცა. ბოლო ხანებში შუსტერი თითქოს არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, თუმცა, როგორც ხედავთ, ოკეანისგაღმელებს მადრიდული გუნდის შეფებმა აჯობეს.

„მოხარული ვარ „ხეტაფეში“ მოსვლით. ჩემმა წინამორბედმა, კიკე ფლორესმა, ამ გუნდს ბევრი რამ შესძინა და მჯერა, ჩემი საქმიანობაც წარმატებული იქნება“ — განაცხადა შუსტერმა. შეგახსენებთ, რომ ბერნდ შუსტერამდე „ხეტაფეს“ ორი მწვრთნელი ჰყავდა შეგულებული, ძველი მადრიდელი და ამჟამად ტელეკომენტატორი მიჩელი და „რასინგის“ თავკაცი ლუკას ალკარასი.

**ლადო ხომერიკი**

# ენდის სანტანდერი ენდობა

**სანტანდერის** „რასინგი“ „ინტერის“ ჰოლანდიელ ნახევარმცველ ენდი ვან დერ მეიდეთი დაინტერესდა. მადრიდული „ასის“ ინფორმაციით, კანტაბრიული კლუბის პრეზიდენტი მანუელ უერდა და „რასინგის“ მწვრთნელი მანოლო პრესიადო ერთობ მოწადინებულნი ბრძანდებიან, რომ ნიდერლანდელი „ელ სარდინეროზე“ ჩაიყვანონ.



ენდი ვან დერ მეიდე

ვან დერ მეიდე 1979 წელს დაიბადა და ფეხბურთელად დიდ სკოლაში, ამსტერდამის „აიაქსში“ ჩამოყალიბდა. მისმა კარგმა თამაშმა იმთავითვე ბევრი გუნდი დააინტერესა და ენდიმაც გაჭიანურებული სატრანსფერო ორომტრიალის შემდეგ მილანის „ინტერის“ ფორმა მოირგო. „ასის“ ეჭვით, ვან დერ მეიდე სერია A-დან ესპანურ ლიგაში გადასვლაზე თავადაც უნდა ზრუნავდეს, რადგან მილანელთა მწვრთნელ რობერტო მანჩინისთან არცთუ შეხმატკბილებულად თანამშრომლობს და ძირითადში იშვიათად ხვდება.

2004-05-ის წლების სეზონში ენდი ვან დერ მეიდემ „ინტერის“ შემადგენლობაში 18 მატჩი ითამაშა და მოედანზე 1037 წუთი დაყო, ოღონდ სასტარტო თერთმეტში ოდენ 5-ჯერ გამოიყვანეს. ჰოლანდიელმა იტალიის თასზეც ცოტა, სულ 5 მატჩი ჩაატარა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე — 6. საერთო ჯამში ვან დერ მეიდეს მანჩინიმ მოედანზე 29-ჯერ უხმო, ოღონდ აქედან მხოლოდ ცხრაჯერ როგორც ძირითადს.

„ვან დერ მეიდე „რასინგის“ მარჯვენა ფლანგს ძალიან გააძლიერებს“ — განაცხადა პრეზიდენტმა უერდამ „ასისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. მედიის ცნობით, ჰოლანდიელი ნახევარმცველი „ელ სარდინერიაზე“ იჯარით ერთი სეზონის განმავლობაში იბურთავებს.

**ლადო ხომერიკი**

# სისინიოს ევედისება

**„სან პაულუსა“** და ბრაზილიის ნაკრების მარჯვენა მცველი სისინიო ანუ იგივე სისერო ჟოაო სესარი, მომავალ სეზონში სავარაუდოდ ესპანურ „ბეტისში“ გადავა. მისი შეძენა ანდალუზიური გუნდის მწვრთნელ ლორენს სერა ფერერის ამოუჭრია გულში.

„მე პრეზიდენტ ლოპერას ბრაზილიელის შესახებ ბევრი ველაპარაკე. ძალიან კარგი იქნება, თუ „ბეტისის“ უკანა ხაზს სისინიოს დონის მობურთალი შეემატება“ — განაცხადა სენიორ ლორენსომ „მარკასთან“ საუბარში.

„ესპანელთა ინტერესის შესახებ ცოტა ხნის წინ შემატყობინეს. მართალია, „სან პაულუსთან“ კონტრაქტი ახლახან განვაახლე, მაგრამ თუ საინტერესო წინადადებას მივიღებ, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომასაც არ გამოვრიცხავ“ — აღნიშნა თავად სისინიომ, რომელიც ბრაზილიის ნაკრებთან ერთად დღეს კონფედერაციათა თასზე იაპონიის ნაკრებს უნდა შეერკინოს.

„მარკას“ ცნობით, სისინიო „ბეტისის“ მიმართ გულგრილი არც თავად არის, რადგან იქ სანპაულოელის ძმაკაცი რიკარდუ ოლივეიარა და სხვა რამდენიმე ბრაზილიელიც ბურთაობს.

„ესპანურ კლუბთაგან „ბეტისი“ ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელია. იქ კარიერის გაგრძელებაზე უარს არ ვიტყოდი“ — გულახდილად ამბობს მარჯვენა მცველი, ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ სისინიოს სატრანსფერო ღირებულება 6 მილიონი ევროა.

**ლადო ხომერიკი**



# გუტის მომავალი ანუ ყველაფერი მადრიდის გარდა

### არსენალის ნომერი თოთხმეტი

ინგლისური მედია მადრიდელი გუტის „არსენალში“ გადასვლას არ გამორიცხავს. ჟურნალისტები იმ თანხასაც კი ასახელებენ, რომლის საფასურადაც „რეალის“ მეთოთხმეტე ნომერი „ჰაიბერის“ მოედანზე უნდა გადავიდეს. როგორც გუშინდელი „მირორი“ იუწყება, არსენ ვენგერის კლუბი მზადაა, ხოსე მარია გუტიერესის მოსანადირებლად 11 მილიონი ევრო გადაიხადოს. თავად მადრიდის „რეალის“ აზრით ფეხბურთელი 20 მილიონი ღირს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს“ სათადარიგოთა შორის დაუმსახურებლად თუ დასანანად ჩამჯდარ 28 წლის ფეხბურთელს ერთი სული აქვს, „სათადარიგო გალაქტიკოსების“ სკამს გაექცეს, ფლორენტინო პერესის ბანაკი ალბათ ინგლისელებს 15 მილიონ ევროზეც არ ეტყვის უარს. გუტის კი გადაწყვეტილება მიუღია — ჩემი მადრიდში ბურთაობა უკვე დამთავრდა და ახლა ბედი ინგლისურ პრემიერლიგაში, კერძოდ, „არსენალში“ უნდა ვცადოო.

„გუტიმ მშვენივრად იცის, რომ პრემიერლიგაში თავის გამოჩენის ძალიან კარგი შანსი ექნება. ჩემს კლიენტს ინგლისური კლუბებიდან ყველაზე მეტად „არსენალი“ მოსწონს“ — აღნიშნა გუტის წარმომადგენელმა ზორან ვეკიჩმა, სხვა ბრიტანულ გაზეთ „დეილი მეილთან“ საუბარში.

### ფაბიო კაპელოს ჭირვეული შეგირდი

მას შემდეგ, რაც ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში მადრიდის „რეალს“ უხელმძღვანელა, სახელოვანი იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო მაშინდელი შეგირდის, გუტიერესის ბურთაობას ვერაფრით ივიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭირვეულ მოწაფესთან გარკვეული პრობლემები ჰქონდა, „გაძეტა დე ლო სპორტის“ მიხედვით, სენიორ კაპელომ თავად სთხოვა „იუვეს“ სპორტულ დირექტორ ლუჩანო მოჯის, მადრიდელი შეიძინოს. იტალიურ პრესაში უფრო შორსაც მიდიან. მათი თქმით, საკუთრივ ხოსე მარია გუტის პრემიერლიგა და „არსენალი“ კი არა, სერია A და „იუვენტუსი“ აინტერესებს.

„მადრიდის „რეალი“ იტალიიდან პირველ სატელეფონო ზარებს დღეს ან ხვალ მიიღებს“ — ვკითხულობთ „გაძეტა დე ლო სპორტში“.

ფაქტი კი ერთია —გუტი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არამც და არამც აღარ გაჩერდება...

**ლადო ხომერიკი**

# რეპკას დამცრობა

**პრემიერლიგაში** აღზევებულმა ინგლისურმა „ვესტ ჰემმა“ ჩეხ მცველთან, ტომაშ რეპკასთან თანამშრომლობა ორი წლით განაახლა. გაზეთი „სპორტის“ ცნობით, რეპკას აგენტმა ონდრეი ხოვანეცმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების პირობები ფეხბურთელისთვის წინანდელზე უარესია, მაგრამ გარიგება მაინც შედგა.



ტომაშ რეპკა

შეგახსენებთ, რომ ტომაშ რეპკა „ვესტ ჰემში“ იტალიური „ფიორენტინადან“ 2001 წელს გადავიდა. მაშინ ლონდონელებმა ფლორენციელებს 9,09 მილიონი დოლარი გადაუხადეს, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა. დღეს ჩეხი უკვე 31 წლისაა და საკმაოდ ბევრი ყვითელწითელი ბარათითაც გახლავთ თავგამოჩენილი. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ძველი კონტრაქტის თანახმად მას ერთი წელიწადი კვლავ უწინდელ პირობებზე უნდა გაეტარებინა, როგორც მოსალოდნელი იყო კლუბმა შესთავაზა, თუ ჩვენთან ყოფნა გსურს, ნაკლებ ხელფასს დაჯაბულდიო.

**ბაკუნა ძიდია**

# არ დაუჯეროთ მღვდელს, შეუერთდით რუსებს

**უკრაინის ჩემპიონად გახდომით დონეცკის „შახტარმა" სამი წლის წინანდელი შედეგი გაიმეორა და რაც საინტერესოა, ორივეჯერ ჩემპიონ გუნდს უცხოელი მწვრთნელი ეგდა სათავეში. მაშინ ნევიო სკალა, ახლა კი მირჩა ლუჩესკუ, რომლის „სპორტ-ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

**— თქვენ ერთხელ თქვით, მწვრთნელის მუშაობა მატჩის დაწყებისთანავე მთავრდება და განმარტეთ: მომდევნო 90 წუთი მწვრთნელი სკამზე ზის და არაფერს აკეთებსო. მაგრამ ამ სეზონში თქვენ თითქმის არ დამჯდარხართ, სულ გვერდით ხაზთან იდექით და მოთამაშეებს დავალებებს აძლევდით...**

— რუმინელებს ასეთი გამოთქმა გვაქვს: მღვდელს მოუსმინე და პირიქით მოიქეციო. ამიტომ ჩემს იმ გამონათქვამს პირდაპირ ნუ გაიგებთ. მაშინ იმის თქმა მინდოდა, რომ მატჩის მსვლელობისას მწვრთნელის ჩარევის შესაძლებლობა მინიმალურია. რაც შეეხება სკამიდან წამოხტომას, ეს ინსტიქტურად ხდება, თუმცა ფეხბურთელებისთვის მნიშვნელოვანია — ისინი ხედავენ, რომ მწვრთნელიც თამაშშია ჩართული.

**— უკრაინის ჩემპიონატმა თქვენი იმედი გაამართლა?**

— მთლიანობაში კი. ყველაფერი თითქმის ისე წარიმართა, როგორც მოველოდი. პირველივე ტურში კიევის „დინამოს" მისსავე მოედანზე დამარცხებამ, გუნდზე უზარმაზარი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა. თავი ფავორიტებად ვიგრძენით, სხვა გუნდებს კი ჩვენი რიდი მიეცათ.

**—ყველაზე რთული რა იყო?**

— ჩემპიონთა ლიგიდან და უეფას თასიდან ფეხბურთელების ჩემპიონატში „მობრუნება". სხვათა შორის, იგივე პრობლემას „გალათასარაიში" და „ბეშიქთაშშიც" წავაწყდი თავის დროზე. დიდ ევროპულ გუნდებთან თამაშის მერე ფეხბურთელებს ჩემპიონატის მატჩებისთვის სათანადოდ განწყობა უჭირთ.

**— ჩემპიონობისთვის მხოლოდ ორი გუნდი, თქვენ და „დინამო" იბრძოდით. ეს ჩემპიონატს მთლიანობაში ინტერესს არ უკარგავს?**

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან მსგავსი ვითარება ბევრ სხვა ჩემპიონატშიცაა. უკრაინის ჩემპიონატში კი ამგვარი ორგუნდიანობა, ვფიქრობ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. თუნდაც იმ მიზეზით, რომ გამარჯვებულის ფსიქოლოგია მხოლოდ ამ ორ გუნდს გვაქვს. თუნდაც „დნიპრო" ავიღოთ, ეს უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდია. მოგეხსენებათ, რა ძალისაცაა უკრაინის ნაკრები, მაგრამ თვითოდ კლუბს გამარჯვებულის ფსიქოლოგია არ აქვს.

**— უკრაინული ფეხბურთის რომელი თავისებურებები იყო თქვენთვის უცნობი აქ ჩამოსვლამდე?**

— ძალიან მიკვირს, რომ გულშემატკივართა მხრიდან დაინტერესება დამაკმაყოფილებელი არ არის. უკრაინის ჩემპიონატის დონე საკმაოდ მაღალია იმისთვის, რომ ხალხი სტადიონზე დადიოდეს. ალბათ, პრესასაც უნდა დავაბრალოთ, რომ ჩემპიონატს საკმარისად არ უწევს პოპულარიზაციას. დიახ, „შახტარის" თამაშებზე ტრიბუნებზე ტევა არ არის, მაგრამ ნახეთ, სხვა სტადიონებზე რა ხდება. თითქმის ყველგან სიცარიელეა.

კლუბებიც აშკარად ვითარდებიან, მაგრამ არის ელემენტარული საკითხები, რომლებსაც რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა. თუნდაც მოედნის ხარისხი და გასახდელების მოწყობა ავიღოთ. გასახდელის ნორმალურად გაკეთებასაც ხომ დიდი ფული არ ჭირდება? ალბათ საბჭოური გადმონაშთია ამ საკითხებს მნიშვნელობას რომ არ ანიჭებენ. მაინცდამაინც ევროტურნირზე უნდა გავიდეს გუნდი, რომ უეფას კომისიის ჩამოსვლისთვის დაჩქარებულად დაიწყონ სტადიონის კეთილმოწყობა? ვფიქრობ, ფედერაციამ მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს კლუბების მიმართ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, სიმართლე გითხრათ, გაოცებულიც დავრჩი ბევრი უკრაინული გუნდის პრიმიტიული ტაქტიკით. ალბათ, ბერძნების მაგალითს მისდევენ, საშინლად მოსაწყენი თამაშით ევროპის ჩემპიონობა რომ გახდნენ. უკრაინაში ბევრი გუნდი არ არის, ხალხს სანახაობას რომ სთავაზობს. მეტწილად კი როგორ ხდება — მეტოქის შეცდომას ელოდებიან, თავად კი არაფრის შექმნა არ შეუძლიათ.



**— სად უფრო გაგიჭირდათ გუნდის გაჩემპიონება, თურქეთში თუ უკრაინაში?**

— ძნელი შესადარებელია. თურქეთში უფრო ბევრი ისეთი გუნდია, შემოქმედებით ფეხბურთს რომ თამაშობს. სტადიონებზეც სხვაგვარი აურაა, თითოეულ თამაშს უზარმაზარი აჟიოტაჟი ახლავს. იქ დიდი ტრადიციის მქონე კლუბებიც არიან, რომლებმაც ფულის ხარჯვის გარდა [illegible] ფულის შოვნაც იციან. [illegible] რეკლამებით, ტელეტრანსლაციებით და სუვენირების გაყიდვით წელიწადში 20-25 მილიონს შოულობენ.




მირჩა ლუჩესკუმ „შახტარს" უკრაინული ტიტული მოაგებინა

უკრაინაში ეს ყველაფერი ჩანასახის დონეზეა და ფეხბურთი სხვა ემოციებს იწვევს. თუმცა აქ სტრესი უფრო დიდია, ელემენტარული შეცდომა შეიძლება კატასტროფად გექცეს.

**— რამდენიმე მატჩში 11 ლეგიონერი ათამაშეთ. მომდევნო სეზონიდან კი ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული. რამდენად გაგირთულებთ ეს წესი მუშაობას?**

— არ მგონია, რომ ეს სიახლე უკრაინული ფეხბურთის დონეს აამაღლებს. საკუთარი თავის მტერი ხომ არ ვარ, მაღალი დონის უკრაინელი ფეხბურთელი მყავდეს და მაინც უცხოელს ვეძებდე. ვფიქრობ, ადგილობრივ ფეხბურთელთა აღზრდის სხვა მეთოდებია მოსაფიქრებელი.

მაგრამ წესი შემოღებულია და მას უნდა დავემორჩილოთ, ახალ რეალობას შევეგუოთ. ერთს კი დავძენ და ეგებ პარადოქსადაც მოგეჩვენოთ: უცხოელთა ლიმიტმა შესაძლოა ნაკრებზეც უარყოფითად იმოქმედოს.

**— ეგებ განმარტოთ?**

— „შახტარის" და „დინამოს" ლეგიონერები ჩემპიონატს ამდიდრებენ. მათ გვერდით ან მათ წინააღმდეგ მოთამაშე ადგილობრივი ფეხბურთელები ფასდაუდებელ გამოცდილებას იძენენ. ხოლო თუ ადგილობრივმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთმანეთში ითამაშეს, კლასს როგორ აიმაღლებენ. ამიტომაც ვუკავშირებ ლეგიონერთა სიმრავლეს ნაკრების დონეს.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უკრაინის ნაკრების ასეთ წარმატებით თამაშს ელოდით?**

— მგონი, თავად ნაკრების ფეხბურთელებიც არ ელოდნენ. ნაკრების თამაშმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ოლეგ ბლოხინმა კი თავი ბრწყინვალე მწვრთნელად წარმოაჩინა. დარწმუნებული ვარ, ნაკრების ასე თამაშზე ევროტურნირებზე „შახტარის", „დინამოს" და „დნიპროს" კარგმა თამაშმაც იმოქმედა. ამ კლუბებში მიღებული [illegible] გამოცდილება ფეხბურთელებმა ნაკრებშიც მიიტანეს და გამოიყენეს. ვორონინი და შევჩენკოც დაუმატეთ და ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ გუნდს მიიღებთ.

**— ვერავინ დაგძრახავთ, ჩემპიონთა ლიგაში „მილანი" და „ბარსელონა" რატომ ვერ დაამარცხეთო, მაგრამ უეფას თასზე „შალკეს" გაგდების მერე, ნუთუ „ალკმაარის" დამარცხება შეუძლებელი იყო?**

— „შალკეს" დამარცხების მერე ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა საქმე მოგებულად ჩათვალეს. ოღონდ „შალკე" დაგვამარცხოთო და ... აი, ასეთი განწყობით ითამაშეს „ალკმაართან". სამწუხაროდ, ჩემი მცდელობა, ისინი ბრძოლისთვის გამეწყო, უშედეგოდ დამთავრდა. სამაგიეროდ, ეს კარგი გაკვეთილი იქნება სამომავლოდ.

**— რუსეთის და უკრაინის ერთიანი სუპერლიგის შექმნაზე რა აზრის ხართ? ეს „შახტარის" და ცსკა-ს პრეზიდენტების იდეაა...**

— პირადად მე მომწონს. რუსულ ფეხბურთში ახლა უზარმაზარი ფული იდება და უკრაინას მეზობლისგან მაგალითის გადმოღება შეუძლია. თან ძლიერ კლუბებსაც შევხვდებით.

**— თქვენ „შახტარში" სამწლიანი კონტრაქტი გაქვთ. პირველ მიზანსაც მიაღწიეთ, ჩემპიონები გახდით, მომდევნო მიზანი რა არის?**

— მე მიზნების ცოტა განსხვავებული ქრონოლოგია მაქვს. პირველი მიზანი უეფას თასის საგაზაფხულო ეტაპამდე მიღწევა იყო მეორე, უკრაინის ჩემპიონობა. ჩემპიონობა კი ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად გვჭირდებოდა. ლგაში ჯგუფიდან გასვლას ვეცდებით

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 513 | პერუჯა-ტორინო | 2.20 | 2.50 | 3.70 | 1.17 | 1.37 | 1.49 |
| | | **25 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 1 | ვიჩენცა-ტრიესტინა | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 2 | შინიკი-ცსკა | 4.00 | 3.10 | 1.85 | 1.74 | 1.26 | 1.15 |
| 15:00 | 3 | ლოკომოტივი-კრილია | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **26 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 12 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 3.30 | 3.50 | 1.95 | 1.69 | 1.22 | 1.25 |
| 20:00 | 13 | ჰამარი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:00 | 14 | ლინი-ალესუნდი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 20:00 | 15 | სტარტი-ბოდოი გლიმტი | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |
| 22:05 | 16 | ლილესტრომი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **27 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 17 | როზენბორგი-ვოლერენგა | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 18 | ვიკინგი-ტრომსიო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 20 | სტაბეკი-მანდალი | 1.35 | 4.80 | 6.50 | 1.05 | 1.11 | 2.76 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:00 | 33 | ჰეკენი-გიოტებორგი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 40 | ფრიილუნდა-იისტერსი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 21:00 | 41 | ფალკენბერგი-აიკ | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 21:00 | 42 | მიალბი-ლიუნგსკილე | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 21:00 | 43 | იორებრო-ვესბი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 44 | ვესტერისი-ტრელებორგი | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 23:45 | 45 | ბოდენსი-ბრომაპოიკარნა | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 46 | გაის-დეგერფორსი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 53 | ჰაფნარფიორდური-აკრანესი | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 23:15 | 54 | ფრამი-გრინდავიკი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |
| 23:45 | 55 | ვესტმანაეიარი-ვალური | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 23:15 | 56 | კეფლავიკი-ფილკირი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:15 | 57 | რეიკიავიკი-თროტური | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 62 | უოტერფორდი-შელბურნი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 22:45 | 63 | კორკი-ლონგფორდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:45 | 65 | შემროკი-ჰერპსი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 22:45 | 66 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.40 | 2.90 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 67 | დუბლინი-ბრეი | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 69 | კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 2.75 | 3.10 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.30 |
| 23:45 | 70 | დალასი-ჩივასი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 23:45 | 71 | სოლტ ლეიკი-ლოს ანჯელესი | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 107 | კოკიმბო-უაჩიპატო | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 514 | უნ.ესპანიოლა-უნ.კატოლიკა | 3.10 | 3.20 | 2.00 | 1.57 | 1.21 | 1.23 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 161 | კოლუმბია(20)-არგენტინა(20) | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 19:30 | 162 | უკრაინა(20)-ნიგერია(20) | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 22:30 | 166 | ჰოლანდია(20)-ჩილე(20) | 1.35 | 4.00 | 7.30 | 1.00 | 1.13 | 2.58 |
| 22:30 | 167 | ესპანეთი(20)-თურქეთი(20) | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 163 | ჰაუგესუნდი-ვიკინგი | 8.50 | 4.60 | 1.25 | 2.98 | 1.08 | 1.00 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 110 | ინტერი-მიუპა | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **ბრაზილიის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 134 | ფლუმინენსე-პაულისტა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 155 | საბერძნეთი-მექსიკა | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 156 | იაპონია-ბრაზილია | 8.00 | 4.20 | 1.30 | 2.75 | 1.11 | 1.00 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 158 | სან პაულუ-რივერ პლეიტი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 157 | ატლეტიკო პრ-ჩივასი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:15 | 153 | რეალი-ტაუ | 1.60 | 12.00 | 2.20 | 1.41 | 1.00 | 1.85 |

**ჩოგბურთი უიმბლდონი კაცები**

**22 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15:00 | 515 | ფედერერი-მინარი | 1.02 | 8.00 |
| 15:00 | 516 | კიფერი-დი მაურო | 1.15 | 4.50 |
| 15:00 | 517 | ფერერო-ლი | 1.40 | 2.45 |
| 15:00 | 518 | მაიერი-ვერდასკო | 1.80 | 1.80 |
| 15:00 | 519 | იოჰანსონი ი-რუსედსკი | 1.75 | 1.95 |
| 15:00 | 520 | გონსალესი-ხიბი | 1.35 | 2.80 |
| 15:00 | 521 | იუჟნი-ლისნარდი | 1.25 | 3.50 |
| 15:00 | 522 | დავიდენკო-ბიორკმანი | 1.75 | 1.90 |
| 15:00 | 523 | ჰიუიტი-ჰერნისი | 1.05 | 6.00 |
| 15:00 | 524 | მასუ-ვიმელსტობი | 1.75 | 1.95 |
| 15:00 | 525 | დენტი-კიმი | 1.25 | 3.20 |
| 15:00 | 526 | ბერდისი-ბურგსმიულერი | 1.50 | 2.10 |
| 15:00 | 527 | ჰრბატი-მონფილსი | 1.50 | 2.10 |
| 15:00 | 528 | ლოპესი ფ-შერვუდი | 1.12 | 4.60 |
| 15:00 | 529 | საფინი-ფილიპოუსისი | 1.40 | 2.80 |

**ჩოგბურთი უიმბლდონი ქალები**

**22 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15:00 | 530 | ვაშინგტონი-სფარი | 1.35 | 2.80 |
| 15:00 | 531 | ვინჩი-კრემერი | 1.45 | 2.40 |
| 15:00 | 532 | დემენტიევა-კლაშკა | 1.06 | 5.80 |
| 15:00 | 533 | დევენპორტი-ჯექსონი | 1.05 | 7.50 |
| 15:00 | 534 | კლიისტერსი-ირვინი | 1.03 | 8.50 |
| 15:00 | 535 | მალეევა-კირილენკო | 1.80 | 1.80 |
| 15:00 | 536 | მორესმო-სანჩეს ლორენცო | 1.05 | 6.00 |
| 15:00 | 537 | საფინა-სტრეიცოვა | 1.25 | 3.80 |
| 15:00 | 538 | ტანასუგარნი-პერი | 1.30 | 2.90 |
| 15:00 | 539 | ფარინა-ვენტო | 1.45 | 2.35 |
| 15:00 | 540 | ვაიდისოვა-პასტიკოვა | 1.25 | 3.30 |
| 15:00 | 541 | კუსნეცოვა-მირზა | 1.10 | 4.60 |
| 15:00 | 542 | ლიხოვცევა-შონესი | 1.50 | 2.10 |
| 15:00 | 543 | მისკინა-ნაკამურა | 1.20 | 3.60 |
| 15:00 | 544 | არვიდსონი-სერა | 1.50 | 2.10 |
| 15:00 | 545 | იანკოვიჩი-დიას ოლივა | 1.15 | 4.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12155 საბერძნეთი-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 12156 იაპონია-ბრაზილია | 2.00 | 1.60 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13155 საბერძნეთი-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 13156 იაპონია-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17155 | საბერძნეთი-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17156 | იაპონია-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14155 საბერძნეთი-მექსიკა | 2.00 | 1.70 |
| 14156 იაპონია-ბრაზილია | 2.60 | 1.08 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11155 საბერძნეთი-მექსიკა | 4.5 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 11156 იაპონია-ბრაზილია | 12.0 | 12.0 | 20.0 | 14.0 | 5.0 | 3.5 | 30.0 | 15.0 | 1.55 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15155 | საბერძნეთი-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | იაპონია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10155 საბერძნეთი-მექსიკა | 3.60 | 2.00 | 2.60 | 1.28 | 1.50 | 1.13 |
| 10156 იაპონია-ბრაზილია | 7.00 | 2.60 | 1.50 | 1.89 | 1.23 | 1.00 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეა ტრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხე [illegible] |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# სწავლა და კალათბურთი

## ჩავლეიშვილმა პატარებს ამერიკიდან კემპი ჩამოუტანა

**26-29 ივნისს თბილისში გიორგი ჩავლეიშვილის საწვრთნელი კემპი გაიმართება. ეს კალათბურთელი ისეთი სახელმოხვეჭილი ვერაა ამერიკაში, როგორც ახლახან საქართველოში ანალოგიური კემპის ორგანიზატორი ზაზა ფაჩულია, მაგრამ ჩავლეიშვილს კეთილი საქმის გაკეთება სურს და ამის წინააღმდეგი არც არავინაა.**

**„ჩავლე" 1985 წელსაა დაბადებული და ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატიცაა. იგი თბილისის „დინამოში" თამაშობდა, ორი წლის წინათ კი ამერიკაში წავიდა სასწავლებლად. ჰაი სქულიდან ის უნივერსიტეტში მივიდა და სწავლასთან ერთად საკმაოდ წარმატებული კალათბურთელიცაა. მისი პირველი სეზონი ჰამილტონის უნივერსიტეტის გუნდში ბარაქიანი გამოდგა და სამომავლოდ ჩავლეიშვილი სტუდენტურ ლიგაში უფრო ხმამაღალი სიტყვის თქმასაც აპირებს.**



— თავიდან ძალიან გამიჭირდა, რადგან სასკოლო და სტუდენტური ლიგები საკმაოდ განსხვავებულია. ჰაი სქულში შედარებით ნაკლები დატვირთვაა, უნივერსიტეტის გუნდში კი საქმეს უფრო პროფესიულად უდგებიან.

**— ესე იგი ფიზიკურად არ იყავი მზად...**

— თავიდან მართლაც ძალიან ვიღლებოდი. კვირაში 3-ჯერ სამჯერადი ვარჯიშები გვქონდა, დანარჩენ დღეებში კი ორჯერადი. ამასთან ერთად, მწვრთნელმა თავდამსხმელად გამამწესა და მე განსაკუთრებით ბევრი უნდა მევარჯიშა, წონა და კუნთები რომ შემემატებინა.

**— ჰაი სქულის გუნდში რა პოზიციაზე თამაშობდი?**

— მსუბუქი ფორვარდი ვიყავი, ეგრეთ წოდებული ფრთა. გასული სეზონის დაწყებამდე ჰამილტონის უნივერსიტეტი ჩვენი გუნდის ტანმაღალმა მოთამაშეებმა დაამთავრეს და მწვრთნელი იძულებული გახდა, მეფარედ გავემწესებინე.

**— მერე, მოახერხე ახალ ამპლუაზე მორგება?**

— როგორც ჩანს, მოვახერხე, რადგან სტატისტიკა მქონდა საკმაოდ მაღალი. 12 ქულას საშუალოდ იშვიათად თუ აგროვებენ პირველკურსელები, მე კი სწორედ ამდენი მქონდა.

**— „ჰამილტონს" რა ამბიციები აქვს?**

— ესაა საშუალო სიძლიერის გუნდი. „ჰამილტონი" **NCAA**-ს ჩემპიონატის მესამე დივიზიონშია და იქ თავისი სიტყვა ეთქმის.

**— მესამე დივიზიონი?**

— ჰო, ამერიკის სტუდენტურ ლიგას სამი დივიზიონი აქვს. ყველა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ტურნირია და დივიზიონები უნივერსიტეტების სიდიდის მიხედვითაა დაკომპლექტებული. ჩვენი გუნდი მესამე დივიზიონში იმიტომაა, რომ მხოლოდ 2500 ახალგაზრდა სწავლობს, თორემ სიძლიერით **NCAA**-ში მეორეა. ყველაზე პოპულარული პირველი დივიზიონია, სადაც ჩრდილოეთ კაროლინას, დიუკის, სირაკუზის, ჯორჯთაუნის დ სხვა ცნობილი უნივერსიტეტების გუნდები თამაშობენ. ამ დივიზიონში კალათბურთელები თითქმის არ სწავლობენ და მაინც გადადიან კურსიდან კურსზე. იქ საკმაოდ მაღალი დონეა.

**— შენთვის როგორაა, მთავარი სწავლაა თუ კალათბურთი?**

— არა, მე კალათბურთის გამო ვარ ჰამილტონის უნივერსიტეტში. თამაში მეხმარება იმაში, რომ უმაღლესი დონის განათლება მივიღო. როცა ჩემპიონატი მიმდინარეობს, თითქმის ვერ ვიცლი სწავლისთვის. სამაგიეროდ, მისი დასრულების შემდეგ მიწევს წიგნების კითხვა. ჩემპიონატი 4 თვე მიმდინარეობს, თორემ მეტი რომ გრძელდებოდეს, სწავლას ვინ მოასწრებდა.

**— ახლა რა გეგმები გაქვს, როდის მიდიხარ ამერიკაში?**

— ჯერ არ მივდივარ, სანამ სწავლა არ დაიწყება. მანამდე აქ „ჰამილტონის" ყოფილი მწვრთნელი უნდა ჩამოვიდეს, კემპს ვაწყობ.

**— ახლახან ზაზა ფაჩულიამაც მოაწყო კემპი. შენც ანალოგიურს გეგმავ?**

— დაახლოებით იგივე იქნება. ეგაა, ჩემი კემპი მხოლოდ თბილისში, „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე გაიმართება. მასში 1990-92 წლებში დაბადებულები მიიღებენ მონაწილეობას.

**— ვარჯიშებს ამერიკელი გაუძღვება?**

— დიახ, ტომ მერფი. ის ამერიკიდან თანაშემწესთან ერთად ჩამოვა 24 ივნისს. მათ ვარჯიშების წარმართვაში ჩემი ყოფილი მწვრთნელი ზურაბ სამხარაძე და მისი თანაშემწენი დაეხმარებიან. მინდოდა, თბილისში „ჰამილტონის" ამჟამინდელი მწვრთნელი ჩამომეყვანა, მაგრამ ის მხოლოდ 32 წლისაა, ძალიან ახალბედაა და მერფიზე შევაჩერე არჩევანი. ეს გამოცდილი სპეციალისტი 30 წელიწადს თავკაცობდა „ჰამილტონს" და 5-ჯერ გახდა სტუდენტური ლიგის საუკეთესო მწვრთნელი.

**— ბოლოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც გკითხავ. შენი თანატოლები უკრაინაში იყვნენ, შენ კი...**

— მე, სამწუხაროდ, ტრავმა მივიღე და უკრაინაში, ცხადია, ვერ წავიდოდი. ამით იმას არ ვამბობ, ჯანზეც რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად წავიდოდი-მეთქი კიევში. კარგა ხანია, არ ვყოფილვარ საქართველოში და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა არ იცის, როგორ ვთამაშობ. მე უნდა დავუმტკიცო ნუგზარ კანდელაკს, რომ ნაკრებში თამაშის ღირსი ვარ.

**— როგორ ფიქრობ, მოახერხებ ამას?**

— არ ვტრაბახობ, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ ძირითად 12-ეულში მოვხვდები. კონკურენცია საკმარისია, მაგრამ მე მაინც იმედიანად ვარ. ტრავმა მოვირჩინე და ღღეიდან ნაკრებსაც შევუერთდები.

**ირაკლი პერტაია**

# ხალიჩიდან აკრეფილი მედლები

ახალგაზრდული საერთაშორისო სპორტული თამაშები

МЕЖДУНАРОДНЫЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ ЮНИОРОВ

**გურანდა გურასპიშვილი**

*მოსკოვიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"*

**მოსკოვის** ოლქებში მიმდინარე ახალგაზრდულ საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე, რომელშიც დსთ-ს, ბალტიისპირეთისა და ჩინეთის სპორტსმენები მონაწილეობენ, გუშინწინ შესვენება იყო, გუშინ კი ბრძოლები განახლდა.

გუშინვე სარბიელზე გამოვიდნენ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები, რომლებიც მოყაისკში ასპარეზობენ. შეჯიბრებები ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა. ჩვენმა ახალგაზრდა ფალავნებმა ოთხივეში იჭიდავეს და სამი მედალი მოიპოვეს. ყველაზე უკეთ იასპარეზა შმაგი სალთხუციშვილმა, რომელმაც 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვა.

ჩვენი მოჭიდავეებიდან ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ: თორნიკე ჯანელიძე (60კგ) და გივი მორჩილაძე (96).

საქართველოს მოჭიდავეებიდან მედლის მოპოვებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა ლევან კირკიტაძეს, რომელიც მეხუთე ადგილზე გავიდა.

დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან ჩვენი მხატვრულად ტანმოვარჯიშეები და ძიუდოისტები, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

დღესვე საქართველოს კალათბურთელი ვაჟები, რომლებმაც ჩინეთისა და მოლდოვეთის ნაკრები გუნდები შთამბეჭდავად დაამარცხეს, რუსეთის გუნდს ხვდებიან და წარმატების შემთხვევაში ფინალში მოხვდებიან.



კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, თავად მინისტრი გოკა გაბაშვილი და ეთერ ასტემიროვა

# შთამბეჭდავი ოცი დღე

## ევროსაბჭოს საჩუქარი წითელი ბურთები

**„წითელი ბურთები"** — გრიგოლეთი 2005 — ასე ჰქვია პროექტს, რომლის შესახებაც გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა. 4-24 ივლისს შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, დაბა გრიგოლეთში სამინისტროს პატრონაჟით 200 ლტოლვილი ბავშვი დაისვენებს და სპორტულად იცხოვრებს. სახალისო სპორტულ და საგანმანათლებლო პროგრამას ისინი უცხოელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გაივლიან.

„ჩვენი სამინისტროს მიერ წარდგენილმა პროექტმა ევროპის საბჭოში დიდი მოწონება დაიმსახურა და ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატმა გადაწყვიტა, „წითელი ბურთები" საქართველოში ჩატარდეს — გვითხრა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა — სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს მძიმე დღეები აქვთ გადატანილი. მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უცხოელი ინსტრუქტორები ჩამოვლენ და თან სპორტულ ინვენტარს ჩამოიტანენ. ევროსაბჭომ ამ პროექტისთვის უკვე გამოყო 140 ათასი ევრო. ასე რომ, ქართველ ბავშვებს შთამბეჭდავი ოცი დღე ელით".

გაბაშვილის გარდა „წითელ ბურთებზე" საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამაც ისაუბრა:

— პროექტის მიზანია, სახალისო სპორტისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით განხორციელდეს იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ოჯახების ახალგაზრდა წევრთა სოციალური რეაბილიტაცია. თუმც, დარწმუნებული ვარ, იგი კონფლიქტის დარეგულირების პროცესის დაწყებასაც შეუწყობს ხელს. ბანაკში 14-17 წლის 200 ბავშვი იცხოვრებს. აქედან 149 აფხაზეთიდან დევნილია, ხოლო 51 — სამაჩაბლოდან. მადლობა ევროსაბჭოს და ყველა პარტნიორს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| გაბრიელ სარქისიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) |
| ლევან ფანცულაია (საქართველო) | 1:0 | რობერტ მარკუსი (სერბია-ჩერნოგორია) |
| ბადურ ჯობავა (საქართველო) | 1:0 | ლუიშ გალეგო (პორტუგალია) |
| ზვიად იზორია (საქართველო) | 1:0 | სებასტიან მაზე (საფრანგეთი) |
| ბიორნ ბენტე (გერმანია) | 0,5:0,5 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) |
| დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 0:1 | მიხეილ გურევიჩი (ბელგია) |
| ბარტოშ საცკო (პოლონეთი) - | 1:0 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) |

# ვარშავაში ასპროცენტიანი შვიდეულია

**ქართველთაგან** ყველაზე წარმატებით 19 წლის ლევან ფანცულაია თამაშობს. მას 2,5 ქულა აქვს და დამატებითი მაჩვენებლებით მე-10 ადგილზეა. მესამე ტურში მძიმე ბრძოლა გადაიტანა ქართველმა მოჭადრაკემ. იგი 63-ე ნომრად განთესილ სერბ დიდოსტატ რობერტ მარკუს დაუპირისპირდა (თავად ფანცულაია 138-ე ნომრად არის განთესილი).

დებიუტში ჩვენებურმა F3 უჯრაზე მხედარი გამოიყვანა, ხელმწიფეს დამცავი კედელი აუშენა და მე-5 სვლაზე როქი გააკეთა. მარკუსმა მე-7 სვლაზე პატარა იერიში წამოიწყო, პაიკი გაუცვალა მეტოქეს. ამ შეხლას დიდი გადაადგილებები მოჰყვა დაფაზე. ორივემ D ხაზზე მძიმე ფიგურები განალაგა და ისინი დიდი იერიშისთვის მოამზადა. მე-14 სვლაზე ფანცულაიამ მხედრებით ხელმწიფის ფლანგიდან ლაარტყა შავებს და შეტაკებაც დაიწყო. ხუთიოდ სვლაში ფანცულაია ორი პაიკით დაწინაურდა, წყობაც მეტოქეზე კარგი გამოუვიდა და H დიაგონალიდან ჩასათვლელი ხაზისკენ პაიკი გაუშვა. მანევრებში უპირატესობაში მყოფმა თეთრებმა იოლად აჯობეს ისედაც გატეხილ შავებს და 34-ე სვლაზე თავიანთი ალამი აღმართეს.


მერაბ გაგუნაშვილი


ფანცულაიამ მეტოქე 42-ე სვლაზე დაამარცხა

26 სვლა იბრძოლეს გაგუნაშვილმა და სარქისიანმა. მათ პარტიაში ბრძოლა უმთავრესად ლაზიერის ფლანგზე მიმდინარეობდა. მეტოქეებმა საკმაო ფიგურები დაუხოცეს ერთმანეთს და საბოლოოდ ზავით არჩიეს დაშორება.

ყაიმი ითამაშა ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა, უკრაინელმა ვასილ ივანჩუკმა. მან ჩეხ ვლასციმირ ბაბულას გაუყო ქულა და ახლა მერვე ადგილზეა. ასპროცენტიანი შედეგი ჯერჯერობით შვიდ კაცს აქვს.

ჩემპიონატი 3 ივლისს დასრულდება და საუკეთესო 34 მოთამაშე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მიიღებს.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინოვი. მოლდოვა. 10 - 25 ივნისი

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ტატიანა გრაბუზოვა (რუსეთი) |
| ტატიანა ვასილევიჩი (უკრაინა) | 0:1 | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) |
| ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი) | 1:0 | ნანა ძაგნიძე (საქართველო) |
| სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) | 1:0 | მაია ლომინეიშვილი (საქართველო) |
| მაკა ფურცელაძე (საქართველო) | 1:0 | ადელა კრისტინა ფოიზორი (რუმინეთი) |
| ნინო ხურციძე (საქართველო) | 0:1 | ზაოგინ პენგი (პოლანდია) |
| რეგინა პოკორნა (სლოვაკეთი) | 0,5:0,5 | თამარ წერეთელი (საქართველო) |
| სოფიო გვეტაძე (საქართველო) | 1:0 | ევა მოსერი (ავსტრია) |
| ვიტა ჩულივსკა (უკრაინა) | 0:1 | ანა მათნაძე (საქართველო) |

# ევროპას ორთავიანმა რუსეთმა გადმოხედა


ქეთევან არახამია-გრანტი

**ჩემპიონატის** მეორე ნომერი ნანა ძაგნიძე ნონას თასის მფლობელ ლილიტ მკრტჩიანთან კვლავ დამარცხდა და ლიდერებს უფრო დაშორდა. შეგახსენებთ, რომ ძაგნიძემ მკრტჩიანთან ერთი თვის წინ თბილისში ნონას თასის გათამაშებაზეც წააგო და, დიდი მცდელობის მიუხედავად, კიშინიოვში რევანში ვერ აიღო.

მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს თამაში, თავიდანვე სისხლიან შეტაკებებს მოერიდნენ, ფლანგების დაცვას შეუდგნენ და თავიანთ ტერიტორიას ეკალ-ბარდები შემოარტყეს. იერიში პირველმა ძაგნიძემ წამოიწყო, 25-ე სვლაზე მეტოქეს კუთი მხედარი მოუკლა და თამაშიც გაიხსნა. მალე ძაგნიძე ხარისხით გავიდა წინ, მკრტჩიანმა კი E ხაზზე ეტლები მოამზადა შეტევისთვის. 35-ე სვლაზე იერიში სომეხმა მოჭადრაკემ წამოიწყო, რასაც დიდი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა და ხარისხით ახლა თეთრები დაწინაურდნენ. 53-ე სვლაზე ძაგნიძეს ხუთი პაიკი და კუ შერჩა, მკრტჩიანს კი ოთხი პაიკი ეტლთან ერთად. მოჭადრაკეებმა პაიკების გაყვანა დაიწყეს. მკრტჩიანმა პატარა მებრძოლები ლაზიერის ფლანგიდან დარაზმა, ეტლი კი ქართველის ყველა პაიკს შესწირა და მე-80 სვლაზე ქულა აიღო.

შავი ფიგურებით იმარჯვა ქეთევან არახამია-გრანტმა. ქართველმა დებიუტში დაცვაზე გადაიტანა ყურადღება, მარჯვენა ფლანგზე ხელმწიფეს ციხესიმაგრე აუგო და მე-6 სვლაზე როქი გააკეთა. ვასილევიჩი იერიშებს შეუდგა, არახამია-გრანტმა კი H ხაზზე პაიკი დაძრა წინ. მეტოქემ ყურადღება მარჯვენა ფლანგისკენ გადაიტანა და ქართველის ხელმწიფეს სახიფათოდ შეუტია, თუმც მის გამაგრებულ დაცვას ვერაფერი დააკლო და უკან გაბუნძულდა. არახამია-გრანტმა მშვიდად გააგრძელა თამაში, ნელ-ნელა შეესია მეტოქის ტერიტორიას


არახამია-გრანტმა 48-ე სვლაზე მოიგო

და 37-ე სვლაზე ხარისხით დაწინაურდა. ჩვენებური ლაზიერის ფლანგიდან დარჩენილი სამი პაიკის გაყვანას შეუდგა, ისინი ჩასათვლელ ხაზს ადვილად მიაახლოვა და 48-ე სვლაზე გამარჯვებისა დააქუხა.

ცხრილის თავში შვიდ-შვიდი ქულით ორი რუსია მოკალათებული, ელენა ზაიაცი და ნადეჟდა კორინცევა. ისინი უახლოეს 10 მდევარს ნახევარი ქულით უსწრებენ.

**ლაშა გეგეჭკორი**



## ლომების ტურნე 2005


მატჩის ბედი გევინ ჰენსონის ლელოებმა გადაწყვიტეს

# მეხუთე გამარჯვება და ბევრი კითხვის ნიშანი

21 ივნისი. ინვერქარგილი
**საუთლენდი 16:26 ლომები**

**საუთლენდი:** უილსონი, ჰარისონი, მილნი, მულიაინა, ლოთაუა; აპანუი, ქოუანი; მილერი, თი-პოლი, თამარიკი, ქუატე, მაკდონალდი, დემპსი, რათლიჯი, დერმოდი (კაპ);
*სათადარიგოები:* მარჩი, ჰოლი, ლოგანი, რაიტი, კლარკი, პეტრე, თე ვეირი
1 *ლელო:* თი-პოლი; 1 *გარდასახვა:* აპანუი; 3 *საჯარიმო:* აპანუი
**ლომები:** მერფი, ქუეტო, სმიტი, ჰენსონი, ჰიკი; ოგარა, კუპერი; ოუენი (კაპ), უილიამსი, მუდი, ოკალაჰანი, შოუი, ჰეიესი, ტიტერლი, სტივენსი;
*სათადარიგოები:* ბალოჩი, შერიდანი, ისთერბი, ქუსიტერი, ჰოჯსონი, შენკლინი, დარსი
2 *ლელო:* ჰენსონი; 2 *გარდასახვა:* ოგარა; 4 *საჯარიმო:* ოგარა

**სულ** უფრო ცოტა დრო რჩება 25 ივნისამდე. ამ დღეს ბრიტანელ-ირლანდიელი „ლომები“ ახალზელანდიურ მიწაზე ამ ქვეყნის ნაკრებთან პირველ ტესტს გამართავენ. ეს ბურთაობა ტურნეში აქამდე ჩატარებულ ყველა თამაშზე უფრო წონიანი რამ გახლავთ და ევროპელების ნამდვილი ძალაც სწორედ მაშინ გამოჩნდება.

მანამდე კი „ლომებმა“ კიდევ ერთი თამაში მოილიეს და 21 ივნისს ინვერქარგილში „საუთლენდის“ დამარცხება შეძლეს.

ზელანდიურმა გუნდმა, რომელსაც „ლომები“ 1950 და 1966 წლებში დაუმარცხებია, ევროპელებს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია. არადა, წლეულს „საუთლენდი“ ყოჩაღი თამაშით სულაც არ გამოირჩეოდა. ამიტომაც მიუხედავად გამარჯვებისა, „ლომთა“ გულშემატკივარს ბლომად სანერვიულო დაუგროვდა და იმის მიზეზიც აშკარად აქვს, ახალი ზელანდიის ნაკრებთან მოახლოვებულ ტესტმატჩში გამარჯვება ეეჭვებოდეს.

პირველ წუთებში ანგარიშის გახსნის შანსი ორივე გუნდს თანაბრად მიეცა, თუმცა ირლანდიელ რონან ოგარას, რომელსაც ამ მატჩში ვუდვორდმა ათნომრიანი მაისურა გადააცვა, უფრო გაუმართლა და, დამხვდური რიჩარდ აპანუისგან განსხვავებით, საჯარიმო კარგად დაარტყა. რამდენიმე წუთში დენის ჰიკისა და მარკ ქუეტოს კარგი თამაშის წყალობით ბურთი გევინ ჰენსონს ჩაუვარდა ხელში და მანაც „საუთლენდის“ ჩათვლის მოედანს უწია. ოგარას გარდასახვის შემდეგ ანგარიში 10:0 გახდა, [illegible] მატჩის დაწყებიდან სულ რაღაც [illegible] წუთის გასვლას იუწყებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აპანუიმ საჯარიმოს გატანა შეძლო და სხვაობა შეამცირა, პირველ ნახევარში უფრო „ლომებს“ ჰქონდათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, ვიდრე მასპინძლებს. [illegible] მომენტში ოგარამ ბურთი [illegible] ლთა ნახევარზე გადაკიდა და [illegible] მაოდ ზუსტადაც. პასი [illegible] კის მიუვიდა, თუმცა დამხმარე [illegible] ვინ გამოუჩნდა და [illegible] ადვილად გაუმკლავდნენ. [illegible] დამთავრდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან [illegible] ლენიმე წუთი იქნებოდა გასული, რომ მოლში კარგად მოთამაშე მასპინძლებმა ეს უპირატესობა გამოიყენეს და თი-პოლის ლელოს [illegible] ტანა შეძლო. აპანუის გარდასახვით ანგარიში გაათანაბრა.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, რომლებშიც „ლომები“ მატჩის [illegible] წუთულს აშკარად უპირატესობდნენ და ძირითადად დროის ამ მონაკვეთში ახერხებდნენ დიდი უპირატესობის მოპოვებას, გუშინდელ თამაშში „საუთლენდი“ სტუმრებს ტოლს არ უდებდა და ისე ჩანდა, თითქოს მომხვდური გამარჯვება უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა ჰენსონმა მაინც მოახერხა ლელოს გატანა და ოგარას გარდამსახველმა დარტყმამ ანგარიში 17:10 გახადა.

ალბათ ეს ლელო თუ შეიძლება გადამწყვეტად ჩაითვალოს, რადგანაც ამის შემდეგ „ლომებს“ შანსი აღარ ჰქონიათ, მასპინძლებს კი ასეთი შესაძლებლობა მიეცათ, თუმცა მომენტი გაანიავეს. 10-ქულიანი სხვაობა, რომელიც თამაშის ბოლოს დაფიქსირდა იმან განაპირობა, რომ ოგარამ კიდევ სამჯერ შეძლო საჯარიმო დარტყმის გამოყენება, აპანუიმ კი მხოლოდ ორჯერ.

ვუდვორდის ბიჭებმა მატჩი მოიგეს და ტურნეში 1 წაგების წილ მეხუთე გამარჯვება მიითვალეს, მაგრამ თამაშის ხარისხმა და არცთუ სახელიან მეტოქესთან მცირე უპირატესობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ 25 ივნისს ჩრდილოევროპელებს ახალ ზელანდიასთან [illegible]რკენა ფრიად გაუჭირდებათ.

**ლადო ფულუკიძე**

# უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

### პირველი წრე

#### კაცები

ენდი როდიკი (2, აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1 7:6 (7:4) 6:2; ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 3:6 6:7 (5:7) 6:4 7:5 6:2 რადეკ შტეპანეკი (14, ჩეხეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7 (5:7) 6:3 6:4 6:2; გილერმო კორია (15, არგენტინა) — ტომას ბერენდი (გერმანი) 6:1 6:2 6:2; იანკო ტიპსარევიჩი (სდჩ) — ტომი ჰაასი (19, გერმანია) 6:2 2:1 ჰაასმა შეწყვიტა; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ივან ლიუბიჩიჩი (20, ხორვატია) 6:4 6:4 6:4; დანიელე ბრაჩალი (იტალია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:7 (4:7) 7:6 (10:8) 3:6 7:6 (7:5) 12:10

#### ქალები

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — ნურია ლიაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:2 6:2; ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — ჟუსტინ ენენ-არდენი (7, ბელგია) 7:6 (10:8) 2:6 7:5; ვერა ზვონარიოვა (11, რუსეთი) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 2:6 6:4 6:0; ვინუს უილიამსი (14, აშშ) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 6:2 6:4; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:1 7:6 (7:4)

## ჭინკა ბალახზე მოსრიალდა

**ჟუსტინ** ენენ-არდენს ბალახზე მას შემდეგ აღარ ეთამაშა, რაც რომ ორი წლისწინანდელი უიმბლდონობის ნახევარფინალში სერენა უილიამსთან დამარცხდა. ამის მიუხედავად, საქმეში ჩახედული ხალხი ვარაუდობდა, რომ უნიჭიერესი ჭინკა უეჭველად ამ ტურნირის მსვლელობისას შეძლებდა საფართან გაწვევას და მისთვის საკადრის ეტაპებსაც მიაღწევდა. მაგრამ წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონს ამ ჯერზე იღბალმა უმტყუნა და, თუმცა კი ბერძენ ელენი დანილიდუს ბოლო გათამაშებამდე გააფთრებით ებრძოლა, საბოლოოდ მაინც ჩოგნის ნაადრევად დაშპლოთება მოუხდა. ეს კი, გარდა იმისა რომ სენსაციაა, იმავდროულად სამწუხარო ამბავიც გახლავთ, რადგანაც დიდი მუზარადის ტურნირებზე უკვე ოთხჯერ ნატიტულარ ჟუსტინს მოუგებელი მხოლოდ უიმბლდონიღა შერჩა. თუმცა ჭინკა ჯერაც 23 წლისაა და დანაკლისის შევსება ვინძლო ფაიზალად მოასწროს. ისე კი გეტყვით, რომ ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან ეგეთი რამე ჯერ არ მომხდარიყო, როლანგაროსობაზე გაჩემპიონებული ვინვინდავინ მეჩოგნე უიმბლდონობის პირველივე წრიდან რომ ეოტათ.

## „მთავარია ადაპტაცია“

**ასე ჯონ ბარეტი, ბიბისის საჩოგბურთო კომენტატორი და „ოლ ინგლანდ კლაბის“ წევრი ფიქრობს. რაკიღა მისი ნაფიქრალი ჩვენც სარწმუნოდ გვეჩვენა, გადავწყვიტეთ, მისი მოქართულებული ვარიანტით გაგმასპინძლებოდით**

**დიდი** მუზარადის ყოველი ტურნირი განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიძნელით ხასიათდება. მელბურნში ეს აუტანელი ხვატია, პარიზში — გაუთავებელი, უგრძელესი გათამაშებები, ნიუ იორკში — საშინელი ხმაური და ჰასტი-ბუბუ, ხოლო უიმბლდონზე — ბალახსაფრის ცვალებადი ბუნება.

ბალახზე წარმატებულად ჩოგნაობის უპირველესი პირობა მასთან ადაპტაციაა. პირველი დღეების განმავლობაში საფარი ქორფაა და ბურთს სწრაფად და ძალზედ დაბლა ისხლეტს. მერე და მერე ბალახი შრება და ბურთიც უფრო მაღლა და შედარებით ნელა ხტუნაობს. ასე რომ ისინი, ვინც უიმბლდონობის პირველ კვირას გადაურჩებიან, მეორე კვირას ბალახთან უკვე სავსებით გაჩვეულნი იწყებენ.

სწორედ ამის გამოა, რომ მთავარგანთესილთ ასე უჭირთ ხოლმე პირველ მატჩში. 1978 წლის უიმბლდონობის პირველ წრეში მაშინდელი ორგზის ტიტულდამცველი ბიორნ ბორგი უზორბეს ცაცია ამერიკელ ვიკტორ ამაიას ხვდებოდა. ეს ამაია საშინელი ძალით აწოდებდა და ბადესთანაც რიგიანად იდგა, ისე, რომ მეოთხე სეტში რამდენიმე ქულაღა აკლდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. თავის ზედიზედ მესამე ტიტულისთვის ბრძოლის გაგრძელება ბორგს მაშინ მხოლოდ ნებისყოფის უკიდურესმა დაძაბვამ შეაძლებინა...

ყველა იმ დიადი მეჩოგნიდან, ვისი ხილვის პატივიც ბოლო 50 წლის განმავლობაში მრგებია, შემიძლია ჰალალად ვთქვა, რომ როჯერ ფედერერი ყველაზე ხალასი ნიჭია. ის ახლა 23 წლისაა და უკვე ამ ასაკისამ შეძლო, თავისი თაობის ყველაზე სრულყოფილი და უნივერსალური მეჩოგნე გამხდარიყო. ვისვის და მას კი — უიმბლდონური კოინდრის ორგზის საჩემპიონოდ გამჯეგავს — უსათუოდ მოეხსენება, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ტურნირის მსვლელობისას ცვალებად საფართან ადაპტაციას.

როცა წინა კვირაში ვკითხე, თუ წლეულს რა სტილით აპირებდა აქ თამაშს, მან მიპასუხა:

„ჯერ უმთავრესად უკანახაზიდან ვეცდები, მერე კი 50 პროცენტი ისევ უკანახაზიდან, 50 პროცენტი კი ბადესთან. მაგრამ მერე და მერე სულ უფრო მეტად ბადესთან ვითამაშებ.“

აქედან გამომდინარე ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მისი და პოლ-ანრი მათიოს საპირველწრეო მატჩის ყურება. როგორც ამბობდა კიდეც, მან პირველი ორი სეტის უმეტესი ნაწილი უკანა ხაზზე დაჰყო, რათა ბალახს გაჩვეოდა და კოორდინაცია სრულეყო, მესამეში კი უფრო აგრესიულად ითამაშა და ბადესთან სულ უფრო ხშირად გადიოდა.

თვით პიტ სამპრასსაც კი, ვინაც უიმბლდონის ჩემპიონთაგან ყველაზე წარმატებული გახლდათ, ბალახთან საადაპტაციოდ საკმაო დრო დასჭირდა. თავის პირველ სამ უიმბლდონობაზე სამპრასმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, დომინანტურ ძალად ქცევა კი მან მანამდე ვერ მოახერხა, სანამ მოწოდებული ბურთის რიგიანად დაბრუნება არ ისწავლა. მერე და მერე მისი თამაში სულ უფრო მეტად დაეყრდნო მძლავრ მოწოდებას, რაც მას მეტოქეთა უეჭველად დათრგუნვის საშუალებას აძლევდა. თავის საზეიო ფორმაში ის ლამის ინსტინქტურად ახერხებდა იმას, რომ ბადესთან თამაში საჭიროებისამებრ ეცვალა ნაუკანახაზევი გარჯით.

დღევანდელ მოთამაშეთა სავალალოდ უნდა ვთქვა, რომ როჯერ ფედერერი უკვე დღესვე ამჟღავნებს ამ ინსტინქტის მქონებლობას.

## ყველას თავის საფარზე გაუმარჯოს



მარიანო პუერტა

**არგენტინელი** მარიანო პუერტას შესახებ შარშან მხოლოდ ის გვსმენოდა, რომ დოპინგსკანდალში გახვეულიყო და ამის გამო ცხრა თვის განმავლობაში იძულებით უნდა ეუქმა. შარშან აგვისტოში ეს 26 წლის გაუჩო უკვე რეიტინგსიის 440-ე ადგილზე იდგა და ვინძლო თავადაც აღარ სჯეროდა, რომ ოდესმე იქიდან ამოღწევას მოახერხებდა.

მაგრამ ჩოგანჩაუხრელმა შრომამ და მიზანდასახულებამ თავისი გაიტანა და პუერტამ უქმობის შემდეგ თავის პირველსავე როლანგაროსობაზე გაისროლა — ცხოვრებაში პირველად დიდი მუზარადის ფინალს მიატანა და იქ 19 წლის რაფაელ ნადალს კაცური წინაალმდეგობაც გაუწია. თავისი ბარაქიანი ხელწამლისა და თავმდაბალი ბუნების გამო პუერტამ მრავალი ქომაგი მოინაგრა და აქედან გამომდინარე საინტერესო იყო, რის გაკეთებას შეძლებდა ის მისთვის ერთობ უცხო ბალახსაფარზე.

ამ ინტერესს დიდი სიცოცხლე ისედაც არ ეწერა, ხოლო პუერტა რომ უიმბლდონში საერთოდ ვერაფერს გამორჩება, ეს მას შემდეგ უფრო გააშკარავდა, რაც რომ საზარდულის ტრავმის გამო ვერც ქუინზკლაბობაზე ითოგნავა და ვერც ნოტინგემობაზე. მხოლოდ ზედ უიმბლდონის წინ ოთხდღიანმა წაბალახებამ საქმეს ვერ უშველა და ამიტომ იყო, პუერტამ პირველ წრეში გერმანელ ლარს ბურგსმიულერთან 1:6 1:6 4:6 რომ დაიმხო.

მოუმზადებელს აბა რა უნდა მექნაო, იმართლებოდასავით ნაამსატჩევს პუერტა და მერე თავს ასე ინუგეშებდა: „მაინც ბედნიერი ვარ, რადგანაც ახლა, რეიტინგსიის მე-11 საფეხური მიკავია და ათი თვისწინანდელისგან განსხვავებით ახლა ლამის მთელი ქვეყანა მიცნობს.“

გაიხარე, მარიანო, და ვაფშემც ყველას თავის საფარზე გაუმარჯოს.

## საფინი ბალახობას მჩვევა

შარშანდელი უიმბლდონობის პირველ წრეში თვისტომ დიმიტრი ტურსუნოვისგან ძლეულმა მარატ საფინმა თქვა, ანი ჩემდათავად ბალახზე გამსვლელისაცო. მაგრამ, ამის მიუხედავად, რუსი ჩოყლაყი წლეულს ისევ ბალახზეა და, ასე განსაჯეთ, საკმაოდ რიგიანადაც გამოიყურება. უიმბლდონის პირველ წრეში მან 6:2 6:4 6:4 აჯობა ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანს და ეს ისე შთამბეჭდავად გააკეთა, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მის მიერ ნაპასუხევის გამოკრებით თარგმნის სურვილიც ალგვიძრა.



მარატ საფინი

**— ოთხსაათიანი სათიხნარო განდაგანების მერე ეს რაღაც ახალი ჩოგბურთივითაა, არა?**

— კარგი იქნებოდა, ყოველდღე ასეთი თამაშები მქონდეს. „ასეთში“ იმას ვგულისხმობ, ნეტავ ყოველდღე ასეთ მაღალ დონეზე ვთამაშობდემეთქი.

**— ვითომ არ შეგიძლიათ, რო?**

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. მაგრამ წლეულს ეს მხოლოდ ექვსთვიანი ინტერვალით გამომივიდა. ბოლოჯერ ასე კარგად ავსტრალიის ღია პირველობაზე ვითამაშე.

**— თქვენ თავს დღემდე „ბალახის მოზიზღართა“ კლუბის პრეზიდენტად თვლით?**

— კი, კი, ჯერაც ამ კლუბში ვარ. თუმცა ძალიან ბევრს ვშრომობ, რომ ამ საფარს გავუშინაურდე. ჩემი მწვრთნელი პიტერ ლუნდგრენი ძალიან მეხმარება, რათა ბადესთან თამაში გავაუმჯობესო და უფრო აგრესიულად ჩოგნაობა შევძლო. პირველი შედეგი ჰალეში გამოჩნდა, სადაც ფინალამდე მივედი. ამან თვითრწმენა განმიმტკიცა, ამის გარეშე კი წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია.

**— დღეს კორტზე თავს ძალიან კომფორტულად გრძნობდით, ეგრე იყო?**

— დასტურ, დღეს მართლაც კომფორტულად ვიყავი, ძალიან თავდაჯერებულად.

**— ბალახზე ჩოგნის დამტვრევა უფრო ძნელი ხომ არ არის?**

— აქ უმალ კორტს უფრო დააშავებ, ვიდრე ჩოგანს.

**— ხომ არ ნერვიულობთ იმაზე, რომ უიმბლდონის შემდეგ მუხლის სამკურნალოდ იძულებითი შესვენების ალება მოგიწევთ?**

— სამწუხაროდ, შესვენება მართლაც მომიწევს, რადგანაც მინდა, სეზონის მეორე ნახევარიც ვითამაშო. ეს კი სამაგარსაფრო პერიოდია, მაგარსაფარი კი მუხლების უმთავრესი მტერია. თუკი ამას უიმბლდონის მერე არ მივხედე, შეიძლება, წლის ბოლომდე მიყვანა საერთოდ ვეღარ მოვახერხო. ასე რომ, ერთი თვით დავისვენებ, მუხლს ვუწამლებ და სადღაც მონრეალის მასტერსამდე ორი კვირით ადრე ვარჯიშს დავუბრუნდები.

**— აქა-იქ ამბობენ, რომ კარგი იქნებოდა, თუკი უიმბლდონი ბალახიდან სწორედ მაგარსაფარზე გადავიდოდა. თქვენ რას იტყოდით?**

— არა მგონია, ორკვირიანი ბალახობა ასეთი გაუსაძლისი რამ იყოს. რა? ტრადიცია, ისტორია? რასაკვირველია, ალბათ, არც ამის დავიწყება ივარგებს.

# ფორმულა 1 ფორმულა 0 გახდა

**კვირას** ინდიანაპოლისში მიღებული უმწვავესი დარტყმა სამარცხვინო ლაქად დარჩება „სამეფო რბოლების“ ისტორიაში. მოხდა გაუგონარი რამ — უსაფრთხოების მიზნით შვიდი გუნდის ბოიკოტის გამო აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებაში მხოლოდ ექვსი პილოტი ჩაება.

წინა „მიღწევა“ 1958 წელს არგენტინაში დამყარდა, როცა ბუენოს აირესის ტრასაზე პირველობისთვის ცხრა მანქანა იბრძოდა.

შეგახსენებთ, რომ ინდიანაპოლისის „მოტორ სპიდვეიზე“ 14 მრბოლის გაუჯირითებლობის მთავარი მიზეზი პარასკევს თავისუფალი ვარჯიშისას რალფ შუმახერის უმძიმესი ავარია გახდა. გერმანელის ბოლიდს „მიშლენის“ საბურავი გაუსკდა და გზააბნეული „ტოიოტა“ თითქმის სამასკილომეტრიანი სისწრაფით მიეხეთქა ბეტონის კედელს და გზადაგზა დაიშალა. საბედნიეროდ, მძღოლი არ დაშავებულა, მცირე შოკს თუ არ ჩავთვლით. ეს კატასტროფა შარშანდელის ანალოგიური იყო, ოღონდ პატარა შუმი მაშინ „უილიამსში“ იჯდა, თუმც ბორბლები მაშინაც „მიშლენის“ ჰქონდა. იმავე მე-13 მოსახვევში, ისევ და ისევ საბურავის გასკდომისა და მანქანის ბარიერზე „მიბეჭდვის“ გამო, რალფს კისრის მალები გაებზარა და თითქმის სამთვიანი მკურნალობა დასჭირდა.

პარასკევის ვარჯიშისას „ტოიოტას“ მეტესტე რიკარდო ზონტასაც აუფეთქდა საბურავი. ამ ინციდენტებმა ფრანგი მებორბლეები შუმახერზე უარეს შოკში ჩააგდო და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობას რეგლამენტის შეცვლის თხოვნით მიმართეს. კერძოდ, „მიშლენმა“ უსაფრთხოების პრობლემის მოგვარების ორი ვარიანტი წარადგინა: ან ნება დაერთოთ კვალიფიკაციის შემდეგ ბორბლები შეეცვალათ, ანდა „რალფის ვირაჟის“ წინ ოვალზე გამოვარდნამდე ძველი საბურავებისგან დამატებითი მოსახვევი მოეწყოთ მანქანების დასანელებლად. მიზეზად ის მოიტანეს, რომ ოვალური უბანი, „წმინდა“ საფორმულო ტრასებისგან განსხვავებით, ჰორიზონტალური კი არა, ცხრაგრადუსიანი დახრილობისაა, რის გამოც „ბრტყელი“ ტრეკებისთვის გათვლილი საბურავები ბევრად გაზრდილ, ლამის ზღვრულ დატვირთვას განიცდიან. გასაგებია ფრანგების შეშფოთება, რადგან „მიშლენის“ კლიენტებს დანავსული მოსახვევი 73-ჯერ უნდა გაექროლათ, ისინი კი ათი წრის შემდეგ უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლეოდნენ.

რადგან ავტოფედერაციის ბოსობამ თხოვნას წაუყრუა („ფერარიც“ რეგლამენტში ცვლილების წინააღმდეგი იყო), „მიშლენმა“ შესაძლო ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად თავის ბორბლებიან საჯინიბოებს სთხოვა, რბოლაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ასეც მოხდა, გასახურებელი წრის შემოვლის შემდეგ 14-მა ბოლიდმა ბოქსებისკენ გაუხვია და სტარტზე „ბრიჯსტოუნიანი“ ექვსეულიღა დარჩა — „ფერარის“, „ჯორდანის“ და „მინარდის“ პილოტები.

რბოლას, ცხადია, არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია. ამგვარი ფარსით განრისხებულმა მაყურებლებმა ტრასაზე ლუდის ქილებისა და წყლიანი პლასტიკური ბოთლების სროლა ატეხეს, ძირს დაშვებული ცერა თითებით გამოხატავდნენ აღშფოთებას და „სამეფო რბოლების“ 160 ათასი მაყურებლიდან უმეტესობამ მალე დატოვა ავტოდრომი.

თანაფერარელ რუბენს ბარიკელოსთან ჭიდილში პირველობა მიხაელ შუმახერს დარჩა, მაგრამ დაზაფრულ სახეზე ეტყობოდა, რომ ამ „გამარჯვებას“ სიხარული არ მოუტანია. გერმანია-იტალიის ჰიმნების შემდეგ შტატების დიდ პრიზს და შამპანურის გაუხსნელ ბოთლს ხელი დაავლო და სწრაფად დატოვა პოდიუმი.

— მოსახვევის დამატება არაფერს შეცვლიდა, რადგან შესაძლოა, მათ პრობლემები ტრასის სხვა მონაკვეთებზეც შექმნოდათ. ამდენად, მთავარი ეს არ იყო. ისე, „ბრიჯსტოუნს“ რომ ეთხოვა, არც მე მივიღებდი რბოლაში მონაწილეობას, რადგან ამას აზრი არ ჰქონდა და ამიტომაც ამგვარი მოგებისგან სიხარული არ განმიცდია — განაცხადა მიხაელმა ფინიშის შემდეგ.

საგულისხმოა მსოფლიოს ექსჩემპიონ, კანადელ ჟაკ ვილნევის აზრი: „ამ ინციდენტმა ფორმულა 1-ს ჩრდილოეთ ამერიკაში კატასტროფულად გაუტეხა სახელი. მშვენივრად მესმის დამცირებული მაყურებლების გულისწყრომა, რომლებმაც მონაწილეები სტვენით გააცილეს და ბოთლებს ისროდნენ. ჩემი აზრით, შეერთებული შტატებში ფორმულის რეპუტაციის აღდგენა შეიძლება აღარასოდეს მოხერხდეს.“

მომხდარი ბევრმა მეტად მტკივნეულად აღიქვა, ამით ფორმულა ერთი ფორმულა ნული გახდაო.

ბუნებრივია, საკითხი არ ამოწურულა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ურჩი შვიდეულის და „მიშლენის“ წარმომადგენლები პარიზში საგანგებო სხდომაზე დაიბარა. საქმის განხილვა 29 ივნისს შედგება და „პროტესტანტებს“ ალბათ მკაცრი სანქციებიც არ ასცდებათ.

**გია ახალაძე**









გასაგებია ამერიკელი მაყურებლის გულისწყრომაც და მიხაელ შუმახერის უგუნებობა ექვსმანქანიანი „დამხობილი“ რბოლის შემდეგ





ვიტალი კლიჩკო

# რახმანის ფიქრები კლიჩკოზე მაგარი ვიქნები

**მსოფლიოს** ექს ჩემპიონი მძიმეწონოსანი მოკრივის, ჰასიმ რახმანის გუნდის წევრებმა WBC-ში წერილი აფრინეს. ზაფხულის ბოლოს მათი ფალავანი ღროებითი ჩემპიონობისთვის მონტე ბარეტს ხვდება. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რახმანის მომხრეები კი უფრო შორეულ ოცნებებში ჩაძირულან. მათ სურთ, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო მთავარი ქამრისთვის სწორედ რახმან-ბარეტის წყვილში გამარჯვებულს ეკრივოს.

ეს შეხვედრა თავიდან 23 ივლისისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ტელეარხ HBO-ს თხოვნით, 13 აგვისტოსთვის გადაწიეს. ვინაიდან ამ სანახაობის ორგანიზატორი გაქექილი პრომოუთერი დონ კინგია, ამ დათმობის სანაცვლოდ HBO-ს მთელი რიგი საპასუხო პირობები წამოუყენა. მათ შორის [illegible] ტრანსლაციის ორგანიზება [illegible] ინფორმაციით, მხარეები [illegible] რზე შეთანხმდნენ.

ახლა რახმანის მომხრეებს [illegible] ერვიულად ხელ სხვა რამ [illegible] ხსენიათ. საქმე ისაა, რომ [illegible] გამხრის გადაწყვეტილებით [illegible] [illegible] მომავალი ბრძოლა 24 [illegible] [illegible] უნდა შედგეს [illegible] [illegible] 24 [illegible] [illegible] ლოდ 40 დღეა და რახმანის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ამ დრის სხვა [illegible] [illegible] შეხვედრა, ჩემი [illegible] კი ისევ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[illegible] კი ამ დროს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და მისი [illegible] [illegible] [illegible]

**ოთარ მაღლაკელიძე**



ჰასიმ რახმანი



# ლეიტონის გოგო

ბეკ კარტრაიტი. ჩოგბურთელ ლეიტონ ჰიუიტის გელფრენდი თავისი მეგობრის პირველ წარმატებას ესალმება უიმბლდონზე. ჰიუიტმა ბელგიელი კრისტოფ როხუსი დაამარცხა.

# ჩეხის ჩელსური

„ჩელსის“ მეკარე პეტერ ჩეხს სარეკლამო შოუ გაუმართავს თავის სამშობლოში და [illegible] მეგობრები დაუპატიჟია. კარში თავად ჩამდგარა და ბიჭებისთვის „ჩელსური“ მაისურები ჩამოურიგებია.






# მეფე ვალენსიაში

ლუის ვუტონის სანაოსნო თასის მეხუთე ეტაპი ვალენსიის წყლებში უნდა გაიმართოს. ის წინ უსწრებს ამერიკის თასის 32-ე გათამაშებას. ამიტომაც, ვალენსიაში დიდი ამბავია ატეხილი, ქალაქის მერი რიტა ბარბერა (მარცხნიდან მეორე) მეფე ხუან კარლოსს ხვდება. თუმცა, ესე ყოველი არ აინტერესებს პლაჟზე გაგორებულ შეყვარებულ წყვილს.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდიოდა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, ხისო კოტორეიშვილი, ლადო ხოჭოლავა, ვაკო ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ქელეხსაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხრნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge